ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა

თემა: თანასწორობის საკითხები სკოლაში

სსიპ ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ნონა ჩუბინიძე

2019 წელი

სარჩევი

შესავალი---------- 3

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა ---------- 3

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ ---------- 3

1.2. პრობლემის იდენტიფიცირება ---------- 4

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა ---------- 15

1.4. კვლევის მიზანი ---------- 16

1.5. კვლევის სტრუქტურა ---------- 16

1.6. ძირითადი დასკვნები ---------- 16

თავი II. ლიტერატურა ---------- 17

2.1. ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 17

თავი III. კვლევის დიზაინი ---------- 22

3.1. საკვლევი საკითხის კითხვები ---------- 22

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი ---------- 22

3.3. კვლევის მეთოდები ---------- 23

3.4. კვლევის ვადები ---------- 24

თავი IV. კვლევის შედეგები ---------- 24

4.1. მონაცემების ანალიზი ---------- 24

4.2. ძირითადი მიგნებები ---------- 42

4.3. ინტერვენციები ---------- 42

თავი V. ინტერვენციების შეფასება ---------- 43

5.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები ---------- 43

5.2. ინტერვენციების მიმდინარეობის ანალიზი ---------- 43

5.3. მეორადი მონაცემების ანალიზი და ინტერვენციების შეფასება ---------- 51

თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები ---------- 57

6.1. რეკომენდაციები ---------- 57

6.2. კვლევის ნაკლოვანებები ---------- 58

თავი VII. დასკვნა ---------- 59

ბიბლიოგრაფია ---------- 60

დანართი ---------- 61

რეფლექსია ---------- 78

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში განხორციელებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კვლევის ანგარიშს. კვლევა განახორციელა ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებლებმა ნონა ჩუბინიძემ. აღნიშნული კვლევის მიზანია ვიკვლიო სკოლაში თანასწორობის საკითხები, თუ რამდენად ვიცავთ თანასწორობის პრინციპებს და ვეძიოთ გზები, რათა სკოლაში შენარჩუნებული იყოს მასტიმულირებელი სასწავლო გარემო ყველა ტიპის ადამიანისათვის, მიუხედავად მათი სოციალური, გონებრივი, ფიზიკური თუ სხვა ტიპის შესაძლებლობებისა,

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან.

I თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პრობლემის იდენტიფიცირება, საკვლევი საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, კვლევის სტრუქტურა და ძირითადი დასკვნები.

II თავში მოცემულია ლიტერატურის ანალიზი.

III თავი მოიცავს კვლევის დიზაინს: საკვლევი საკითხის კითხვებს, კვლევის სამიზნე ჯგუფს, კვლევის მეთოდებსა და ვადებს.

IV თავი ეხება კვლევის შედეგებს: მონაცემთა ანალიზს, ძირითად მიგნებებსა და ინტერვენციებს.

V თავში განხილულია ინტერვენციის მეთოდები და შეფასება.

VI თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.

VII თავი დასკვნაა. კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში 702 მოსწავლე სწავლობს. დასაქმებულია 63 ადამიანი. მათ შორის 51 მასწავლებელია. მასწავლებლები არიან დირექციის 2 თანამშრომელი - დირექტორი და დირექტორის მოადგილე და ასევე ადმინისტრაციის ერთი თანამშრომელი - ბიბლიოთეკარი. სკოლის მასწავლებელთა დიდი ნაწილი არის სიახლეების მიმდევარი. ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. სწორედ ამის გამოძახილია, რომ 51 მასწავლებლიდან 5 წამყვანი მასწავლებლის სტატუსი აქვს, 32-ს უფროსის და მხოლოდ 14 მასწავლებელია პრაქტიკოსი. ყოველ წელს იზრდება იმ მასწავლებელთა რიცხვი, რომლებიც იცვლიან ანუ იმაღლებენ სტატუსს. რაც შეეხება საათობრივ დატვირთვებს: მხოლოდ 12 მასწავლებელს აქვს სრული დატვირთვა, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სკოლაში მასწავლებელთა ჭარბი რაოდენობაა.

შედეგების თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ბოლო წელია რაც ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლე გვყავს. ეს კი იმედს გვაძლევს, რომ მომავალში მეტად გაიზრდება წარმატებულ მოსწავლეთა რაოდენობა.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების კვალიფიკაცია და შესაძლებლობები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწორი მენეჯმენტის პირობებში სწავლა სახალისო და საინტერესო პროცესი გახდეს.

1.2. საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება

ცხადია, სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ვერანაირად ვერ გამოირიცხება სუბიექტური ფაქტორები, თუმცა საინტერესოა რამდენად თანასწორ გარემოში უწევთ მოსწავლეებს სწავლა. როგორ აღიქვამენ ბულინგს. არიან თუ არა სკოლაში გამოკვეთილი ლიდერები ან ბულერები. რას მიიჩნევს სკოლის საზოგადოება გაკვეთილზე არათანასწორ მოპყრობად და ასე შემდეგ. საკითხი მას შემდეგ გახდა სკოლაში აქტუალური, რაც მოსწავლეებთან სხვადასხვა შეკრებაზე გაჟღერდა არათანასწორი მოპყრობის ფაქტები. ზოგ შემთხვევაში მოსწავლეები პრობლემის აღწერას იწყებდნენ ასე „მოიკითხეთ მასწავლებელო...“ საკითხი მსჯელობის საგნად იქცა სამასწავლებლოსა და მცირე ჯგუფებთან შეხვედრებისას. სწორედ ამ პრობლემების გამო გადავწყვიტეთ თანასწორობის საკითხებს კარგად ჩავღრმავებოდით. ჩემთვის, როგორც აღნიშნული თემის მკვლევარი მასწავლებლისათვის საინტერესო არის რამდენიმე მიმართულებით პრობლემის იდენტიფიცირება. მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან გასაუბრებების ფონზე პრიორიტეტულად ჩავთვალე:

ა) მოსწავლეთა გამოკითხვა

ბ) მასწავლებელთა იმავე კითხვარით გამოკითხვა

გ) ფიზიკური გარემოს ანალიზი

დ) დერეფანში ნდობის ყუთის დადგმა, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ანონიმურად მომაწვდიან სიტუაციებს, როცა მათ თავი უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლად იგრძნეს.

ე) გაკვეთილებს შორის დასვენებებზე მოსწავლეებზე დაკვირვება (ფოკუსი: მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება)

ვ) საგაკვეთილო დაკვირვება (ფოკუსი: მასწავლებლების სამეტყველო ლექსიკა, სტერეოტიპული აზროვნების წახალისება)

ა) მოსწავლეთა გამოკითხვა

დაწყებითი საფეხური (მე-5 და მე-6 კლასები - სულ 40 მოსწავლე)









საბაზო საფეხური (მე-7. მე-8 და მე-9 კლასები - სულ 60 მოსწავლე)




აღწერე სიტუაცია, რომელიც შენ ირგვლივ მოხდა და მიგაჩნია რომ ბულინგია?
13, 22%
13, 22%
19, 32%
3, 5%
1, 2%
2, 3%
2, 3%
3, 5%
2, 3%
2, 3%
შეესწრო ჩხუბს
სხვადასხვა მიზეზით მოსწავლეთა გარიყვა
უბედური შემთხვევა
მხოლოდ კარგ მოსწავლეებს იძახებენ
შშმ-ს ცემა
ფულის გამოძალვა
დედის მიერ ძალადობა
ინტერნეტკომენტარები
ხორავას ქუჩაზე ბავშვების მკვლელობა
ვერ ასახელებს


შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები?
3, 4%
3, 4%
11, 15%
22, 30%
34, 47%
სახლში
სკოლაში
ქუჩაში
ინტერნეტ სივრცეში
სხვა (სპორტი..)





საშუალო საფეხური (მე-10, მე-11 და მე-12 კლასები - სულ 60 მოსწავლე)




აღწერე სიტუაცია, რომელიც შენ ირგვლივ მოხდა და მიგაჩნია რომ ბულინგია?
9, 15%
19, 32%
4, 7%
4, 7%
4, 7%
1, 1%
1, 1%
1, 2%
17, 28%
შეესწრო ჩხუბს
სხვადასხვა მიზეზით მოსწავლეთა გარიყვა
მოსწავლეთა დაჯგუფებები
შშმ-ს ცემა
ფულის გამოძალვა
დედის მიერ ძალადობა
ინტერნეტკომენტარები
მასწავლებელზე ზეწოლა
ვერ ასახელებს


შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები?
1, 1%
16, 27%
27, 45%
16, 27%
სკოლაში
ქუჩაში
ინტერნეტ სივრცეში
არ უპასუხა


რას მიიჩნევთ უთანასწორო მოპყრობად გაკვეთილზე?
11, 18%
21, 35%
10, 17%
8, 13%
1, 2%
3,...
6, 10%
მასწავლებლებს ფავორიტები ყავთ კლასში
მოსწავლეები არ აცლიან ერთმანეთს, დასცინიან
მასწავლებლის უხეში ტერმინები
მასწავლებლის მიერ გაუგებარ რამეზე ჩხუბი
მასწავლებლის მიმართ მოსწავლის ცუდი მიმართვა
აზრის გამოხატვის შეზღუდვა
ვერ ასახელებს


რომ აღგერიცხათ გაკვეთილზე მომხდარი უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, რომელი იქნებოდა მეტი წილი?
3, 5%
10, 17%
7, 12%
38, 66%
მოსწავლეებს შორის უთანასწორო მოპყრობა
მოსწავლის უთანასწორო მოპყრობა მასწავლებლის მიმართ
მასწავლებლის უთანასწორო მოპყრობა მოსწავლის მიმართ
ვერ ასახელებს

ბ) მასწავლებლები (სულ - 42)






შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები?
11, 18%
20, 33%
13, 22%
12, 20%
4, 7%
სახლში
სკოლაში
ქუჩაში
ინტერნეტ სივრცეში
სხვა...


რას მიიჩნევთ უთანასწორო მოპყრობად გაკვეთილზე?
15, 36%
2, 5%
9, 21%
6, 14%
7, 17%
3, 7%
მასწავლებლებს ფავორიტები ყავთ კლასში
მოსწავლეები არ აცლიან ერთმანეთს, დასცინიან
მასწავლებლის უხეში ტერმინები
მოსწავლის ჩაგვრა
მასწავლებლის მიმართ მოსწავლის ცუდი მიმართვა
ვერ ასახელებს



გ) ფიზიკური გარემოს ანალიზი

სკოლის ფიზიკური გარემო ერთი შეხედვით თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. შშმ მოსწავლე, რომელსაც აქვს გადაადგილების პრობლემა სარგებლობს ადაპტირებული გარემოთი: შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს რესურს ოთახით, ბიბლიოთეკით, აქვს უწყვეტი ინტერნეტი. რაც შეეხება რესურსებს. საკლასო ოთახებში განლაგებული ფოტოების აბსოლუტური უმრავლესობა მამაკაცებისაა. შესაძლებელია ქვეცნობიერში მოსწავლეებს უჩნდებათ განცდა, რომ სახელოვანი და გამოჩენილი მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია წარმატებულ მოსწავლეთა დაფა. საინტერესოა რაა დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს ამ დაფის არსებობის მიმართ. ხომ არ თრგუნავს იგი იმ მოსწავლეებს, რომელთა ფოტოებიც ვერ მოხვდნენ მასზე, ან მისი გაუქმება ხომ არ გამოიწვევს წარჩინებული მოსწავლეების მოტივაციის კლებას. ეს საკითხები ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებით ჩემი აზრით აუცილებლად საკვლევია

დ) დერეფანში ნდობის ყუთის დადგმა, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები ანონიმურად მომაწვდიან სიტუაციებს, როცა მათ თავი უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლად იგრძნეს.

მოსწავლეთა უმრავლესობამ დასაწყისში უნდობლობა გამოიჩინა აღნიშნული ყუთის მიმართ. თუმცა შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს ყუთში მოთავსება სხვადასხვა სიტუაციების. ყუთი გაიხსნა ერთი თვის შემდეგ. გაანალიზდა მხოლოდ პირადად ჩემ მიერ. აღმოჩნდა, რომ უმეტესობა თავს უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლად თვლის მაშინ, როდესაც არ უსმენენ მას და სხვის აზრს უფრო ითვალისწინებენ. ერთ-ერთი მოსწავლე აღნიშნავდა რომ მეგობრებმა არ გაითვალისწინეს მისი აზრი და დამრიგებელმაც სხვების მხარე დაიჭირა. ძირითადად მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ უთანასწორობაა როცა მასწავლებელი არ იძახებს, როცა სულ ერთი და იმავე მოსწავლეს ავალებს რამეს.

ე) **გაკვეთილებს შორის დასვენებებზე მოსწავლეებზე დაკვირვება (ფოკუსი: მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება)**

გაკვეთილებს შორის დასვენებები სკოლაში 5 წუთიანია. გამონაკლისია ერთი დიდი დასვენება მესამე გაკვეთილის შემდეგ, რომელიც 20 წუთიანია. დაკვირვებას ვახორციელებდი მონაცვლეობით დიდ და მცირე შესვენებებზე. დაკვირვების ობიექტები იყვნენ საბაზო საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დაკვირვების ფოკუსი იყო მოსწავლეების ქცევა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება.

გამოიკვეთა, რომ ყველა დამრიგებელი შეძლებისდაგვარად თავის სადამრიგებლო კლასთან ატარებს დასვენების დროს. დიდ დასვენებაზე ძირითადად არიან კლასებთან. ეს ფაქტი ერთგვარად აკორექტირებს მოსწავლეთა ქცევას. ისინი ცდილობენ არ გახდნენ დამრიგებლის ან გვერდით მდებარე კლასის დამრიგებლის შენიშვნის ობიექტები. ძირითადად თამაშობენ ან საუბრობენ.

მნიშვნელოვანი, რაც დაკვირვების შედეგად გამოვლინდა გახლავთ მუდმივად ერთიდაიგივე მოსწავლეების ყოფნა თვალთახედვის არეში. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი მოსწავლე დიდ შესვენებაზეც კი კლასში ყოფნას ამჯობინებს. ცდილობს არ გამოვიდეს საკლასო ოთახიდან. შეიძლებოდა ეს ან დაღლილობისათვის დამებრალებინა ან სხვა რამით გამემართლებინა, მაგრამ ასეთი მოსწავლეები მუდმივად ერთიდაიგივეა. კიდევ უფრო ღრმად საკითხით დაინტერესებამ გამოავლინა, რომ ეს მოსწავლეები ნაკლებად ურთიერთობენ კლასელებთან. არიან ჩაკეტილები ან უკეთეს შემთხვევაში კლასებში არსებობს ე. წ. ჩაკეტილ ბავშვთა ნაწილი. მართალია ეს ნაწილი აშკარა უმცირესობაა, მაგრამ ჩემი აზრით ძალიან საინტერესოა რატომ ამჯობინებენ ისინი თავისთვის ყოფნას. დაკვირვების შედეგად ასევე გამოიკვეთა მეტსახელებით მიმართვა, რომელიც ზოგ შემთხვევაში დამამცირებელია. აღსანიშნავია, რომ მიმართვის ობიექტები არც ერთ შემთხვევაში არ აპროტესტებდნენ ასეთ მიმართვას და ჩვეულებრივად იღებდნენ ან ხუმრობაში ატარებდნენ. თანასწორობის კუთხით სხვა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალება უბრალო დაკვირვებით არ მომხდარა

3) **საგაკვეთილო დაკვირვება (ფოკუსი: მასწავლებლების სამეტყველო ლექსიკა, სტერეოტიპული აზროვნების წახალისება)**

საგაკვეთილო დაკვირვებისას განხორციელდა უბრალო დაკვირვება. დაკვირვების ობიექტები იყვნენ დაწყებითი-საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა არ იყენებს ლექსიკაში დამამცირებელ ეპითეტებს. ასევე არ ხდება სტერეოტიპული აზროვნების წახალისება. ძალიან მცირე შემთხვევებში ჰუმანიტარული საგნების მასწავლებლები ნაწარმოებთა ანალიზისას ახალისებენ მამაკაცთა ძლიერების იდეას და თავისდაუნებურად კნინდება ქალის როლი. თუმცა ასეთი შემთხვევები არ არის ბევრი. მიმაჩნია, რომ მიუხედავად მათი სიმცირისა, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა ეს ნაწილიც არ აკნინებდეს ქალის როლს და არ ამკვიდრებდეს ქალისა და მამაკაცის საქმეთა ნუსხებს

ამრიგად, პრობლემები გამოკვეთილია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ პრობლემა არ გამოსწორდება და სკოლაში არ გაჯანსაღდება სიტუაცია, ჩვენ მალე ძალადობის ფაქტები გაგვიმრავლდება.

კვლევა და განხორციელებული ინტერვენციები თუ დადებით შედეგებს გამოიღებს, ამით სარგებელი ექნება როგორც მოსწავლეებს (ლაღი, თავისუფალი, მამოტივირებელი და არა დამთრგუნველი გარემო, სადაც წახალისებულია მოსწავლეთა თავისუფალი აზროვნება) ასევე მასწავლებლებს (კანონმორჩილი, თავისუფალი მოტივირებული და ლაღი მოსწავლეები). ზოგადად კი სკოლაში გვექნება მშვიდი და საქმიანი გარემო

1.3. საკვლევი საკითხის აქტუალობა

საკითხი, რომელიც საკვლევად შევარჩიე, ახლა განსაკუთრებით აქტუალურია. ყოველდღე ვხედავთ ძალადობის შემთხვევებს, ჩვენს ირგვლივ მუდმივად ისმის ქსენოფობიური და რასისტული განცხადებები. ბავშვებს ამ ასაკში ფაქიზად და სწორი აქცენტებით უნდა მივაწოდოთ თანასწორობის იდეა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ტოლერანტული და ემპათიური თაობის აღზრდისათვის. უფლებების დონეზე თანასწორობას უნდა ხედავდეს მოსწავლე ყველა ქცევაში, თანასწორობის აღქმას უნდა უწყობდეს ხელს სასკოლო გარემო, მასწავლებლები თანასწორობის ჭრილში უნდა ვაანალიზებდეთ ნაწარმოებებსა თუ ირგვლივ მომხდარ ფაქტებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება გვქონდეს მოლოდინი გაჯანსაღდეს საზოგადოება. მოვიდეს თაობა, რომელიც ძალადობრივი მეთოდებით აღარ შეეცდება საკითხების გადაჭრას და რომელთაც არ ექნებათ დიფერენცირებული მიდგომები.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ თანასწორობის საკითხების კვლევა ძალიან აქტუალურია თუ დაგვიანებულია არა.

1.4. კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია სასკოლო გარემოში თანასწორობის საკითხების ანალიზი რამდენიმე მიმართულებით და გამოსწორების გზების ძიება. მიმაჩნია, რომ თანასწორობის საკითხების კვლევა უნდა განხორციელდეს ყველა დონეზე (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე).

1.5. კვლევის სტრუქტურა

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგად დასკვნების გამოტანა. ასევე ამ საკითხზე ლიტერატურის დამუშავება. საინტერესოა რას ფიქრობენ სასკოლო გარემოში თანასწორობაზე დარგის სპეციალისტები, მკვლევარები ან ექსპერტები. შემდეგ იმის გაანალიზება, თუ რის გადმოტანა შეგვიძლია ჩვენ, ჩვენ საკლასო სივრცეში.

კვლევის ჩასატარებლად აუცილებელია რელევანტური კვლევის მეთოდების შერჩევა და იმისათვის, რომ შედეგები იყოს მეტად სარწმუნო, მიზანშეწონილად მიმაჩნია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მეთოდების გამოყენება. იმისათვის, რომ კვლევა უსასრულოდ არ გაგრძელდეს, აუცილებლად მიმაჩნია ვადების განსაზღვრა და მათი მკაცრად დაცვა.

კვლევის შედეგების გაანალიზება და დასკვნების გამოტანა შემდეგი ეტაპი იქნება., რაც საფუძვლად დაედება ინტერვენციების განხორციელებას.

მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანია მეორადი მონაცემების ანალიზი, სადაც იგივე მეთოდების გამოყენებას ვამჯობინებ, რომლითაც საკითხის კვლევა განვახორციელე. ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვნად მიმაჩნია რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რათა ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულები იქნებიან მსგავსი საკითხებით, ჰქონდეთ ჩვენეული ხედვა.

კვლევის ბოლო ეტაპზე აუცილებლად გავაანალიზებ ნაკლოვანებებსაც, რათა მომავალში მსგავსი ტიპის აქტივობების დაგეგმვისას გავითვალისწინო ხარვეზები

1.6. ძირითადი დასკვნები

1. ფიზიკური გარემო ამკვიდრებს უთანასწორობის განცდას (ფოტოები, ფრიადოსანთა დაფა...)
2. ყველა საფეხურზე არის ბულინგის გააზრების პრობლემა
3. საგაკვეთილო პროცესში ყველა საფეხურის მოსწავლეები ხედავენ უთანასწორო მოპყრობის ფაქტებს
4. ყველა საფეხურის მოსწავლეს მიაჩნია, რომ უთანასწორო მოპყრობის ფაქტები სკოლაში არის
5. ყველა თანხმდება, რომ დომინანტურია მოსწავლეებს შორის უთანასწორო მოპყრობა

6. მასწავლებლების უმრავლესობა პრობლემად ასახელებს ფავორიტი მოსწავლეების არსებობას.
7. მასწავლებელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სკოლაში უთანასწორო მოპყრობის ფაქტები არის
8. შეინიშნება კლასიდან გარიყული მოსწავლეები, რომლებიც დასვენებაზე კლასთან ერთად არ ერთობიან
9. შეინიშნება მოსწავლეებს შორის ერთმანეთის მიმართ დამამცირებელი ზედმეტსახელებით მიმართვა
10. საგაკვეთილო პროცესში ზოგიერთი თემის განხილვისას ხდება მამაკაცის როლის დომინანტად წარმოჩენა, ასევე, ქალის და კაცის საქმეების ნუსხის დამკვიდრება

თავი II. ლიტერატურის ანალიზი

2.1. ლიტერატურის მიმოხილვა

❖ თანასწორობის იდეა სკოლებში არის საკითხი, რომელიც რამდენიმე ჭრილშია განხილული სხვადასხვა ლიტერატურაში. მათ შორის დომინანტია გენდერული თანასწორობის საკითხები. ჩემი კვლევის თემა მხოლოდ გენდერული თანასწორობა არაა, ამიტომ შევეცდები პრობლემა გავაანალიზო იმ მწირი ლიტერატურიდან, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტითა თუ პირადი კავშირებით.

გვერდზე „სამოქალაქო განათლება ყველასათვის“ ვკითხულობთ: “საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ეს ჩანაწერი ჩვენს ქვეყანაში თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს განამტკიცებს, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მიუხედავად რაიმე ნიშნით განსხვავებულობისა, მას მოეპყრობიან სხვების თანასწორად. უფრო კონკრეტულად კი თანასწორობა მოიაზრებს, თანასწორი პირების მიმართ თანასწორ მოპყრობას, ხოლო არათანასწორი პირების მიმართ კი პირიქით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თანასწორობის იდეა არ არის ახლად წარმოშობილი ცნება. იგი ჩვენი ისტორიული არჩევანია, რაზეც მიუთითებს მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევი. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის

მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისგან.“ თანასწორობის პრინციპზე საუბრობდა ასევე იაკობ გოგებაშვილი: „თანასწორუფლებიანობის პრინციპი განამტკიცებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტომის ელემენტებს შორის, ბადებს ურთიერთ ნდობას და სიყვარულს, ამყარებს ადგილობრივ და არა ადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთ ზეგავლენას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევისათვის ერთსულოვან ბრძოლას...ვიწრო რასობრივი განსაკუთრებულობით ნაკარნახებმა რეპრესიულმა ზომებმა შეიძლება მხოლოდ მავნე შედეგი მოგვცეს.“ (https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-4 აბზაცი 1, 2 და მე-6)

ანალიზი: გამოდის, რომ თანასწორობა სულაც არაა თანაბრობა. ეს არის შესაძლებლობების თანასწორი უზრუნველყოფა და თავად იდეაშივე ეწინააღმდეგება თანაბრობას. ზიზღს, შურს, ერთმანეთის გარჩევას კი არც კი განიხილავს ეს ტერმინი. სასკოლო სივრცეში შეიძლება მასშტაბები კი ნაკლებია, მაგრამ მყარი საფუძველი შეიძლება ჩაეყაროს უთანასწორობას და ამის წამხალისებელი ნებსით თუ უნებლიედ შესაძლებელია ხშირად თავად მასწავლებელი იყოს. ასეთ გარემოში გაზრდილი ბავშვი კი განწირულია რასიზმის, ეთნოცენტრიზმის, და სხვა უამრავი ქსენოფობიური დამოკიდებულებებისათვის.

- საქართველოში მოქმედი 2018-2024 სასწავლო წლების ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლებს პირდაპირ გვავალდებულებს საკლასო სივრცეში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვას: სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით:

„ა) დაუშვებელია მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით;

ბ) დაუშვებელია, რომ საჯარო სკოლამ დააწესოს ბარიერები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით და მიიღოს მხოლოდ სასკოლო მზაობით გამორჩეული ან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლისთვის;

გ) განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. (2018-24 წწ ესგ თავი III. მუხლი 11. სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა)

„მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც“ (2018-26 წწ ესგ თავი III. მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა).

ანალიზი: მოქმედი ესგ პირდაპირ და ცალსახად გვავალებს თანასწორობის პრინციპების დაცვას, რაც გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებელი ვალდებულია სხვადასხვა აქტივობა

შესთავაზოს მოსწავლეს და შეძლოს მისი სააზროვნო პროცესების გააქტიურება. ასევე მნიშვნელოვანია თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა. წინა ესგ გვავალებდა მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას. ახლა კი მიდგომები შეცვლილია და ვალდებულნი ვართ უზრუნველვყოთ მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. ასეთი მიდგომა რთული განსახორციელებელია. ეს გამორიცხავს კლასში „ფავორიტების“ არსებობას და საჭიროა ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა ჩაერთოს აქტივობაში, უპასუხოს კითხვებს თუნდაც ადაპტირებულს. ძალიან მნიშვნელოვანია და საშური ამ ფოკუსით გაკვეთილებზე დაკვირვება და ზოგადად ამ თემის გაშლა მასწავლებლებში.

❖ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა" პირდაპირ მიუთითებს იმ რბილად რომ ვთქვათ არასასურველ სიტუაციაზე, რაც სკოლაში სუფევს.

„სკოლაში საყოველთაო თანასწორობის პრინციპს ემხრობა მოსწავლეთა იმ ჯგუფის 53%, ვინც ძალადობად არ მიიჩნევს მოსწავლის დაცინვას ნაკლებად პრესტიჟულ უბანში ცხოვრების გამო, მოსწავლეების ის 48%, ვისთვისაც დასაშვებია თანატოლების დამცირება ეროვნების გამო, იმ მოსწავლეთა 53.7%, ვისთვისაც ძალადობა არ არის თანატოლის დამცირება ჩაცმულობის, აქსესუარების ტარების ან გარეგნობის გამო და მოსწავლეთა იმ ჯგუფის 54.9% ვინც ძალადობად არ მიიჩნევს თანატოლის დამცირებას აკადემიური მოსწრების გამო. გარდა ამისა, ყველას თანასწორობის შესახებ დებულებას დაეთანხმა იმ მოსწავლეების 73.7%, ვინც აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სკოლაში მოსვლა შეაფერხებს სწავლის ეფექტიანობას და იმ მოსწავლეთა 41.8%, ვინც უარყო, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ მრავალფეროვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას სკოლაში. კვლევის მონაცემებში ასევე გამოჩნდა, რომ მოსწავლეები ეთანხმებიან შემდეგ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს: მოსწავლეების ჯგუფში, ვისაც ეროვნების გამო თანატოლის დამცირება ძალადობად არ მიაჩნია, 30% აღნიშნავს, რომ სხვა რელიგიის წარმომადგენელი მოსწავლეები ხელს უწყობენ სკოლაში მრავალფეროვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ხოლო მოსწავლეების ჯგუფში, ვინც ძალადობად არ მოიაზრებს შეურაცხყოფას რელიგიური აღმსარებლობის ან მოსაზრების გამო, 48.6% სრულად ეთანხმება, რომ სკოლაში ყველა თანასწორია ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, სოციალური სტატუსის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად."

დასკვნაში კი ვკითხულობთ: „მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებში საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი განხორციელების მხრივ, საქართველო კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. მიღებული შედეგების მიხედვით, იმ სკოლებში, სადაც

სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი ჩაატარა, გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახეზეა ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფორმები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების, განსაკუთრებით, მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში მყოფი პირების მხრიდან. ამასთან, მონიტორინგმა გამოკვეთა სტერეოტიპული, და რიგ შემთხვევებში, დისკრიმინაციული აზროვნება მოსწავლეებსა და მასწავლებლებში; პრობლემად რჩება სკოლის თანამშრომლების მიერ ძალადობის პრევენცია, შემთხვევის გამოვლენა და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული რეაგირება. შესაბამისად, სკოლებში მინიმალურია ძალადობის იდენტიფიცირებული ფაქტები და არ ასახავს ძალადობის გავრცელების სრულ სურათს. არათანმიმდევრულია მოსწავლეების ცნობიერება თავიანთი უფლება–მოვალეობებისა და ძალადობის არსის შესახებ; სკოლებს არა აქვთ ძალადობის დაძლევის ერთიანი პოლიტიკა. სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფოს, შეიმუშაოს და წარმართოს კოორდინირებული პოლიტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების არსებული მექანიზმების დასახვეწად. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ძალადობისგან ყოველმხრივ დაცვას მათი საუკეთესო ინტერესების განუხრელი გათვალისწინებით.

ანალიზი: როგორც აქ მოყვანილ სპეციალურ ანგარიშში ჩანს, სკოლებში სახეზეა უთანასწორო მოპყრობის ფაქტები. მათი უმრავლესობა კი საკლასო ოთხში ხდება. მხოლოდ მცირე ნაწილი ასახელებს ამ მხრივ საფრთხედ დერეფანს. ჩემი აზრით ეს იმიტომ, რომ სკოლების უმრავლესობაში ვიდეოთვალის მეშვეობით კონტროლდება გარემო, ხოლო საკლასო ოთახები ამ მხრივ თავისუფალ სივრცედ რჩება. გარდა ამისა ყველაზე საგულისხმო, რამაც ამ ანგარიშში ჩემი ყურადღება მიიქცია, გახლავთ ის, რომ ერთიდაიმავე კითხვაზე სხვადასხვა და ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებულ პასუხებს იძლევიან ერთი და იმავე სკოლის მოსწავლე და თანამშრომელი. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ანუ ის, რასაც ჩვენ ვხედავთ და აღვიქვამთ, სულაც არაა ის, რაც სინამდვილეში ხდება. ამ დასკვნამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩემი კვლევის ხაზი. ვფიქრობ, მეტი აქცენტი გავაკეთო მოსწავლეებზე და სხვადასხვა პასუხების შემთხვევაში მოსწავლის პასუხებს დავეყრდნო, ან მინიმუმ კარგად გადავამოწმო.

❖ ტარტუს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიხედვით მომზადებულ სტატიაში სალომე ლეკიშვილი წერს, რომ სკოლებში თანასწორობის მიღწევა პრობლემაა. ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად კი იგი რამდენიმე გზასაც გვთავაზობს:

1. „ბავშვების ინფორმირება და პოზიტიური კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი ტრენინგების უზრუნველყოფა – სწორეს ეს დაეხმარებათ შექმნან გარემო, რომელშიც ჩაგვრის ფაქტების რისკი შემცირდება.

2. ანონიმური გამოსააშკარავებელი სისტემის დანერგვა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას მყისიერი რეაგირებისა და დაზარალებულთა დახმარების საშუალებას მისცემს.

3. შესაბამისი ადამიანური რესურსის დაქირავება, რომელთა მთავარი ფუნქცია ბავშვებთან ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია იქნება, როგორც დაზარალებული, ასევე მჩაგვრელი მხარისთვისაც. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი ფსიქოთერაპევტებთან გაგზავნა.

4. შეხვედრებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება, რაც თავად ბავშვებს მისცემს საშუალებას იმსჯელონ ჩაგვრის შედეგებსა და მიზეზებზე, მათი აღმოფხვრის გზებზე. მოზარდებმა უნდა გააცნობიერონ, რომ როგორც წესი, მჩაგვრელებად ის ადამიანები გვევლინებიან, რომლებიც თავის დროზე, თავად იყვნენ ამა თუ იმ სახის ძალადობის მსხვერპლნი. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ასევე მოზარდები, რომლებსაც დაბალი თვითშეფასება სტანჯავთ და მის ამაღლებას, სხვებზე გავლენის მოხდენით ცდილობენ. მსგავსი საკითხების გაცნობიერების შემდეგ, ბულინგის წინააღმდეგ გაცილებით მეტი მოხალისე თავად მოსწავლეთა შორის იქნება.

5. საზოგადოებრივი ცნობიერების განმავითარებელი ისეთი აქტივობების დანერგვა, როგორებიცაა: შეჯიბრებები, თამაშები, პიესების წერა, ბუნებასთან კონტაქტი და სხვ. ამ გზით პროფესიონალები შესძლებენ სხვადასხვა მეთოდით ბავშვებს ჩაგვრაზე ხელს ააღებინონ.

6. ჩაგვრის საწინააღმდეგო კამპანიების ორგანიზება, შესაბამისი სლოგანების მოფიქრება და გაფორმება, რომლებშიც წამყვან როლს თავად მოზარდები უნდა ასრულებდნენ.

7. სკოლებმა მჩაგვრელობის წინააღმდეგ მკაცრი ზომები უნდა მიიღონ. ნულოვანი ტოლერანტობა მჩაგვრელობას. ამ ქცევის აღმოსაფხვრელად ბავშვის ოჯახის წევრებთანაც კი საჭიროა საუბარი. საჭიროა იმის გაგება, ხომ არ აქვს ადგილი ჩაგვრის ფაქტებს თავად ოჯახში“.

ჩაგვრა საზოგადოებას ოდითგანვე თან სდევს და ერთი ხელის მოსმით მისი აღმოფხვრა შეუძლებელია. თუმცა ბავშვების, მშობლებისა და თანამშრომლების ძალისხმევით აუცილებელია, სკოლა ამ კუთხით უსაფრთხო გარემო შექმნას“.

(http://4motivi.com/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%A0/?fbclid=IwAR14vEmOEl9uJTFixeflmxDuoxlgns79UhKF95cUsTNxsngrloHZE6Jzsgc)

ანალიზი; ბავშვების ინფორმირება ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია ამ ჩამონათვალიდან. თუმცა თავად ჩაგვრისა და უთანასწორო მოპყრობაზე კი არა ალბათ უკეთესი იქნება თუ მის შედეგებზე ვესაუბრებით მათ. რაც შეეხება ანონიმურ გამოსააშკარავებელ სისტემას, აქ რთულად გვაქვს საქმე. სკოლაში წინა სასწავლო წელს მეორე სემესტრში დადგმული იყო ყუთი, რომელშიც ბავშვებს შეეძლოთ ჩაეშვათ ინფორმაცია იმ შემთხვევების შესახებ, სადაც თავი იგრძნეს უთანასწორო

მოპყრობის მსხვერპლად. ყუთიდან ამოღებული წერილების ანალიზმა აჩვენა ზუსტად იგივე პრობლემები, რასაც აღაირებდნენ ბავშვები გამოკითხვისას. უბრალოდ აქ უფრო დაწვრილებით აღწერდნენ პრობლემას. ხოგადად მიმაჩნია, რომ თემის გაშლა და ფართო განხილვის საგნად ქცევა კარგი იქნება და ასევე ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეების ადექვატური თვითშეფასების უნარის გამომუშავება. ეს კი ნამდვილად არის შესაძლებელი მასწავლებლების ძალისხმევით. ტრენინგები და შეხვედრები სწორედ ამ მიმართულებით უნდა გავშალოთ.

თავი III. კვლევის დიზაინი

3.1. საკვლევი საკითხის კითხვები

რამდენად უზრუნველყოფილია თანასწორობა ჩვენს სკოლაში?

ა) როგორ შევცვალოთ ფიზიკური გარემო ისე, რომ არ ამკვიდრებდეს გენდერული უთანასწორობასა და სტიგმას?

ბ) რამდენად უზრუნველყოფილია გაკვეთილზე თანასწორობა? რა გავაკეთოთ მის გასაძლიერებლად?

გ) რამდენად უზრუნველყოფილია დასვენებებზე თანასწორობა? რა გავაკეთოთ მის გასაძლიერებლად?

დ) როგორ შევამციროთ ბულინგის შემთხვევები?

ე) როგორ გამოვავლინოთ დროულად და როგორ დავეხმაროთ მყისიერად თანატოლებისაგან გარიყულ მოსწავლეებს?

ვ) როგორ ვიზრუნოთ ბავშვების თვითშეფასების უნარის გაუმჯობესებაზე?

ზ) როგორ მოვახერხო, რომ მასწავლებლებს არ ჰყავდეთ ფავორიტები კლასში?

თ) როგორ შევძლო რომ მოსწავლეებს არ მოუნდეთ თანაკლასელებს მიმართონ ისეთი მეტსახელებით, რომელიც გულს ტკენს მათ?

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფი

სკოლაში პრობლემა არის ყველა საფეხურზე. ჩემი მიზანია წინამდებარე კვლევის ფარგლებში ბენეფიციარები იყვნენ მოსწავლეები ყველა საფეხურიდან და კლასიდან - სულ 300 მოსწავლე. მიმაჩნია, რომ ერთ რომელიმე საფეხურზე ჩატარებული ინტერვენციები საქმეს დიდად ვერ წაადგება და საერთო სურათს არ შეცვლის. პრობლემა კომპლექსურია და მიდგომაც კომპლექსური უნდა იყოს.

თუმცა წარმოუდგენელია თანასწორობის საკითხები სკოლაში გამოსწორდეს ყველა მასწავლებლის საერთო ძალისხმევის გარეშე. მნიშვნელოვანია ყველამ გააცნობიეროს პრობლემის

არსებობა და სირთულე. არათანასწორი გარემო ხელს უწყობს ძალადობისა და ბულინგის შემთხვევებს, ხელს უწყობს ბავშვების ჩაკეტვას და გაუხსნელობას, რაც საბოლოოდ ცუდად აისახება მათ აკადემიურ მოსწრებაზე. ამიტომ გადავწყვიტე კვლევის პროცესში ჩართული ყოფილიყო 45 მასწავლებელი.

როგორც ყველა დამუშავებულ ლიტერატურაშია მოხსენიებული და ასევე ვფიქრობდი მეც, მშობლები ამ ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია. ვინაიდან ჩვენი სკოლის მოსწავლეთა 34% ერთი, ხოლო 14% არც ერთი მშობელი არ ჰყავს გვერდით (გარდაცვლილია, არ ცხოვრობენ ერთად ან არიან საზღვარგარეთ), ამიტომ პირველ ეტაპზე უმჯობესი იქნება აქტიურ მშობელთა ნაწილის ჩართვა, ხოლო შემდეგ ეტაპებზე ამ მშობელთ ნაწილი საინიციატივო ჯგუფის წევრებად შეიძლება გამოდგნენ. ყველა ზემოთ თქმულის გათვალისწინებით 50 მშობლის ჩართვა გადაწყდა.

გამოკითხვებში ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ საკითხების ექსპერტის ჩართვა (თუნდაც სატელეფონო ინტერვიუ) და ასევე ბავშვთა ფსიქოლოგის ჩართვა.

3.3. კვლევის მეთოდები

იმისათვის, რომ კვლევის შედეგები იყოს სარწმუნო და ჩვენც მეტად მიახლოებულად გავიგოთ პრობლემის შესახებ, კვლევაში გამოვიყენებ როგორც რაოდენობრივ ისე თვისობრივ მეთოდებს. კერძოდ:

ანკეტირება - ეს მეთოდი ძალიან დამეხმარება მონაცემების სწრაფად შეგროვებაში. იგი გამოყენებული იქნება როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთან და ასევე სხვა სკოლების გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩავატარებ ინტერნეტ გამოკითხვასაც.

ინტერვიუ - ჩატარდება ინტერვიუ სფეროს სპეციალისტთან. ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუები მოეწყობა მოსწავლეებთან (20) და დამრიგებლებთან (8) მანდატურთან (1)

ფოკუს ჯგუფი - მოეწყობა ფოკუს ჯგუფი ბავშვებთან (3) და მშობლებთან (4). შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის კითხვები შეხვედრიდან შეხვედრამდე დაიხვეწოს ან შეიცვალოს საჭიროების მიხედვით.

უბრალო დაკვირვება - მოსწავლეების ქცევას დავაკვირდები როგორც გაკვეთილებზე, ასევე დასვენებებზე.

3.4. კვლევის ვადები

აქტივობა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X															
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X															
პრობლემის იდენტიფიცირება		X														
ლიტერატურის მიმოხილვა		X														
კვლევის მეთოდების შერჩევა			X													
გამოკითხვები			X													
ფოკუს ჯგუფი			X													
ინტერნეტ კითხვარის შექმნა			X													
ინტერნეტ გამოკითხვა				X												
მიღებული შედეგების ანალიზი					X	X										
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა							X									
ინტერვენციის განხორციელება								X	X	X	X	X	X	X		
ინტერვენციის შედეგების ანალიზი														X	X	
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა																X

თავი IV. კვლევის შედეგები

4.1. მონაცემების ანალიზი

კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპია მონაცემების ანალიზი. მიმაჩნია, რომ თუ სწორად არ გაანალიზდა მიღებული შედეგები, ვერ დაისახება რელევანტური გზები პრობლემის გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები (გამოიკითხა 300 მოსწავლე: მათგან დაწყებითი საფეხურის (მე-6 კლასელები) იყო 40 მოსწავლე, საბაზო საფეხურის - 151 და საშუალო საფეხურის 109)

კითხვა №1



კითხვა №2



კითხვა №3



კითხვა №4



კითხვა №5 ა)



კითხვა №5 ბ)



კითხვა №6 ა)



კითხვა №6 ბ)



კითხვა №6 გ)



ანალიზი: როგორც ვხედავთ, პირდაპირ შეკითხვისას მოსწავლეები ამბობენ, რომ მათ კლასში არ არის უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, თუმცა შემდეგ კითხვებში ყვებიან თუ როგორ ერევიან ასეთ სიტუაციაში და ვის მიმართავენ დასახმარებლად. ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ ყველა კლასში მოსწავლეები მეტნაკლებად ხედავენ უთანასწორო მოპყრობის ფაქტებს. მეორე კითხვაზე მოსწავლეთა პასუხები იმედის მომცემია, რადგან მათი უმრავლესობა დასახმარებლად დამრიგებელს მიმართავს, ესე იგი ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამრიგებელს ენდობა. ეს კი სერიოზულ ბერკეტად შეიძლება ვაქციოთ. მესამე კითხვაში მოსწავლეებს ფაქტის გახსენება ვთხოვეთ და ვკითხეთ ჩარეულან თუ არა ისინი კონფლიქტში და ვის მიმართეს კონკრეტულ შემთხვევაში. აქ ძალიან საგულისხმო ფაქტი გამოიკვეთა. რაც უფრო მაღალია საფეხური, მით უფრო მეტი მოსწავლე ამბობს, რომ სხვის კონფლიქტში არ ერევა, ხოლო დამრიგებლებზე მიმართვის ფაქტებს ცოტა იხსენებს. საბაზო საფეხურზე საგანგაშოდ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ თავად აგვარებენ პრობლემებს და არავის არ მიმართავენ. (მერე ჩვენ ვიმკით ამ „მოგვარების“ შედეგებს) რაც შეეხება სადამრიგებლო საათის თემებს, მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა (ყველა საფეხურზე) ვერ გაიხსენა საინტერესო თემა. ზოგმა პირდაპირ უპასუხა რომ არ ჩატარებიათ. ამ კუთხით ძალიან სერიოზული მუშაობა იქნება ჩასატარებელი დამრიგებლებთან. მომდევნო კითხვამ ძალიან საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალება მომცა: მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას თანასწორი გარემოს შექმნაში. ყველა საფეხურის მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი ამბობს რომ ასეთი გარემოს შენარჩუნება დირექციის, მასწავლებლის, მანდატურის და მოკლედ სხვისი პასუხისმგებლობაა. თავის როლს კი ძალიან ცოტა მოსწავლე ხედავს. ბოლო კითხვა რეკომენდაციებს ეხებოდა. როგორ მოიქცეს სკოლის დირექცია თანასწორი გარემოს შესანარჩუნებლად. ჩემდა გასაკვირად მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი წერს რომ უნდა გაირიცხონ წესრიგის დამრღვევი მოსწავლეები ან უნდა დაემატოს კამერები, უნდა გამკაცრდეს დირექცია და მანდატურები.... და ცოტა ნაწილი აპელირებს პროექტების განხორციელებაზე, ფსიქოლოგიურ დახმარებაზე, ტრენინგებით ცნობიერების ამაღლებაზე. ესეც ალბათ იმიტომ, რომ ზოგადად ძალადობის წამახალისებელი გარემოა ყველგან ირგვლივ. მასწავლებლებს უფრო კეთილ რჩევებს აძლევს მოსწავლეთა უმრავლესობა: ასწავლონ წესები და უფლება-მოვალეობები, ერთნაირად მოექცეს კარგ და ცუდ (ფორმულირება მოსწავლეებისაა) მოსწავლეებს, შექმნას სახალისო გარემო კლასში, ხოლო თავიანთ თავს ურჩევენ დაიცვან წესები, იცხოვრონ სიყვარულით და შექმნან თანასწორი გარემო.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც არ უპასუხეს კითხვებს, ცოტაა, თუმცა საგულისხმოა.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები (გამოკითხულია 45 მასწავლებელი, მათგან 27 დამრიგებელია)

კითხვა №1



კითხვა №2



კითხვა №3



კითხვა №4



კითხვა №5

კითხვა №6



<u>ანალიზი:</u> როგორც ვხედავთ, მასწავლებლების 62% ამბობს, რომ მის კლასში მოსწავლეები არ იჩაგრებ თუმცა მეორე კითხვაში ყველა მათგანი ასახელებს სტრატეგიას როცა ხედავენ უთანასწორო მოპყრობის ფაქტს. ან ისინი უთანასწორო მოპყრობის ობიექტს დაჩაგრულად არ თვლიან, ან რაც ნაკლებ სარწმუნოა გულწრფელად არ უპასუხეს პირველ კითხვას. თუმცა რაკი გამოკითხვა ანონიმური იყო მიმაჩნია, რომ ისინი ვერ აღიქვამენ დაჩაგრულად ადამიანს, რომელსაც მიკერძოებულად ექცევა ვინმე - უფროსი ან თანატოლი. პრობლემებს აგვარებენ თავად დამრიგებლები/მასწავლებლები, ხოლო ერთეული შემთხვევაა, როდესაც მშობელი, მანდატური ან სპეც მასწავლებელი ერთვება საქმეში. გამოკითხული მასწავლებლების 40%-ისთვის ერთხელ მაინც მიუმართავს მშობელს მასწავლებლის მიმართ პრეტენზიით. მართალია ეს არაა მაღალი მაჩვენებელი, თუმცა ძალიან ყურადსაღები ფაქტია. რაც შეეხება ბოლო ორ კითხვას, რომლის მიზანი იყო დამედგინა გამოარჩევენ თუ არა მოსწავლეებს მასწავლებლები სხვადასხვა ნიშნით: მხოლოდ 7 მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს არ გამოარჩევს ხოლმე, 5 მასწავლებელი ცდილობს ყველა მოსწავლე ჩართოს სამუშაოში და მხოლოდ 4 მასწავლებელი აძლევს არჩევანის შესაძლებლობას თავად მოსწავლეებს დავალებების შერჩევისას. თან ხშირ შემთხვევაში ეს დავალებები არაფორმალური ხასიათისაა.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები (გამოკითხულია 50 მშობელი)

კითხვა №1



კითხვა №2



კითხვა №3



კითხვა №4



კითხვა №5



კითხვა №6



კითხვა №7



კითხვა №8



კითხვა №9



კითხვა №10



<u>ანალიზი:</u> როგორც ვნახეთ მშობელთა უმრავლესობა თვლის რომ ლოიალური აღზრდის სტილს ირჩევს. და მათი უმეტესობა სწავლის გამო ახალისებს შვილებს. ეს წახალისების ფორმები თავისთავად ცალკე განსჯის საგანია. მაგალითად არ ჩანს რა ტიპის სურვილებს უსრულებენ ბავშვებს და ა. შ. მხოლოდ ერთი მშობელი ამბობს, რომ ყველაფერზე ახალისებს. ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას არ უფასდება ნებისმიერი ძალისხმევა თუ ეს სწავლასთან არ არის დაკავშირებული.

რაც შეეხება დასჯას. აქ უმრავლესობა უკვე ქცევის გამო სჯის შვილებს, ან უზრდელობის, ტყუილების, ხოლო დასჯის ფორმად ყველაზე მეტი მშობელი მიიჩნევს გაბრაზებას. გამოდის, რომ ჩვენი მოსწავლეების უმეტესობა ხშირად არის მშობელთა გაბრაზების მიზეზი. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთი მოსწავლის მშობელი წერს, რომ იგი არ უბრაზდება შვილებს.

მშობელთა აზრით უთანასწორო მოპყრობისას მათი შვილები თავს დაიცავენ. სასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ მშობელთა უმრავლესობამ (31) განაცხადა, რომ მათი შვილი სკოლიდან გაღიზიანებული არასოდეს დაბრუნებულა. ხოლო იმათი უმრავლესობა, ვინც შეამჩნია შვილს გაღიზიანება, პრობლემას ჩაუღრმავდა და მოაგვარა შვილთან, დამრიგებელთა ან დირექტორთან ერთად. მხოლოდ ერთმა მშობელმა განაცხადა, რომ თვად მოაგვარა. ეს ვფიქრობ იმის მანიშნებელია, რომ მშობელთა დიდი უმრავლესობა ამ ნაწილში სკოლას ენდობა. ასევე სკოლის მიმართ დამოკიდებულებას აღნიშნავს კითხვა, სადაც მშობელთა უმრავლესობა წერს, რომ უთანასწორო მოპყრობა და ძალადობა უმეტესად ქუჩაში ხდება. თუმცა ის, რომ 17 მშობლის აზრით უმეტესად სკოლაში ხდება ძალადობა, ყურადსაღებია ნამდვილად.

რაც შეეხება რეკომენდაციებს: მისაღები რეკომენდაციაა მოსწავლეებთან საუბრებისა და ტრენინგების ორგანიზება ამ თემებზე, ასევე ძალიან მენიშნა ფრაზა „არ გაარჩიოთ მოსწავლეები“ და ამ მხრივ ბევრია სამუშაო მასწავლებლებთან, ხოლო ფსიქოლოგის მოყვანა სკოლისთვის ბევრ ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა კონკრეტულ თემებზე სასაუბროდ, რამდენჯერმე მოწვევა შესაძლებელია. რაც შეეხევა ცუდი ქცევის (ფორმულირება მშობლისაა) მოსწავლეების გარიცხვას და რელიგიის გაკვეთილების აღდგენას სკოლა ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებს. საგულისხმოა ამას ისედაც მშობელთა ძალიან მცირე ნაწილი ითხოვს - ჯამში 4 მშობელი.

ინტერნეტ გამოკითხვის შედეგები (მონაწილეობა მიიღო 127-მა ადამიანმა)



კითხვა №2



კითხვა №3



კითხვა №4



<u>ანალიზი</u> გამოკითხული ადამიანების უმრავლესობა ამბობს, რომ უთანასწორო მოპყრობისას ან კონფლიქტისას მოზარდები მეგობარს მიმართავენ. ეს ცხადია, არ არის სკოლისა და დამრიგებლისათვის კარგი მაჩვენებელი, თუმცა უფრო მეტი გამოკითხული (21 %) ამბობს, რომ მოზარდები ასეთ დროს დამრიგებელს მიმართავენ, ვიდრე მშობელს (6%). ეს ჩემი აზრით ერთის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მასწავლებელია და ისინი სოლიდარულები არიან ერთმანეთის მიმართ და მეორეს მხრივ მოზარდთა უმრავლესობას მშობელი არ ჰყავს საქართველოში.

სკოლაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება რომ ყველა ადამიანის პასუხისმგებლობაა, ამას ძალიან ბევრი გამოკითხული ამბობს. თუმცა საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა 30%-ს ეს ვიღაც სხვისი (მანდატურის, დირექტორის, დირექციის...) პასუხისმგებლობა ჰგონია.

რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთოს სკოლამ ან მასწავლებელმა უსაფრთხო და თანასწორი გარემოს შენარჩუნებისათვის, აქ ჭარბობს მონიტორინგი და წესებისა და პროცედურების მკაცრი დაცვა. ასევე საგულისხმოა, რომ გამოკითხულები მიანიშნებენ თანამშრომლობითი გარემოს შენარჩუნებაზე. გამოკითხულთა დიდი ნაწილის აზრით თანასწორი გარემოს შენარჩუნებას საუბრები, დისკუსია (6%) მაგალითის მიცემა (9%) და სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა (9%) შეუწყობს ხელს. ძალიან მენიშნა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 34%-ის პასუხები ამ ნაწილში არის ზოგადი და გაუგებარი. ისინი წერენ რომ უნდა გავაკეთოთ „ყველაფერი რაც შეგვიძლია“ ან „ისეთი აქტივობები, რომლებიც დაგვეხმარება“ ან „დავაინტერესოთ მოსწავლეები“ ან კიდევ „ხელი შევუწყოთ თანასწორი გარემოს შექმნას“. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მასწავლებლებს არ შეუძლიათ კონკრეტული აქტივობების მოფიქრება. ეს ზოგადი პასუხები არაფრის მომცემია ჩემთვის, როგორც კვლევის წარმმართველი მასწავლებლისათვის.

რას შეეხება კიდევ ერთ კითხვას მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის წარმატებული მაგალითების შესახებ. აქ პასუხები პრაქტიკულად ყველა ზოგადია. დიაგრამაზე ამის გამოსახვა არაფრის მომცემი იქნებოდა. შემიძლია მხოლოდ რამდენიმე საინტერესო ინიციატივა აღვნიშნო:

- მშობლების გაკვეთილებზე დასწრება
- ერთობლივი გამოფენის მოწყობა
- მშობლების კლუბის დაარსება
- მშობლების ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენება (მაგ: ფსიქოლოგი, ექიმი, მასწავლებელი) მათი სურვილის შესაბამისად
- მშობელთა მორიგეობა
- მხიარული სტარტები
- შეხვედრები ფინჯან ყავაზე

აღსანიშნავია, რომ ჩემი სკოლა ამათგან მიმართავს ხოლმე მხიარულ სტარტებში მშობლის ჩართვას, მშობლები სურვილის გამოხატვისთანავე პრობლემების გარეშე ესწრებიან გაკვეთილებს, და ყოფილა ხოლმე მშობელთა მორიგეობის მაგალითები, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ეს აქციები რაღაც ერთეულოვან ხასიათს ატარებს და არ არსებობს მწყობრი, მიზანმიმართული დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ

ინტერვიუ მოსწავლეებთან (სულ 20 ინტერვიუ)

ინტერვიუ ჩატარდა 20 მოსწავლესთან. ისინი შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მშობლებთან ინფორმირებული თანხმობის შემდეგ ინტერვიუები ჩატარდა ყველასთან ცალ-ცალკე. არც ერთ მათგანთან არ განხორციელებულა ვიდეო ჩაწერა. პასუხებს უბრალოდ ვინიშნავდი გასაანალიზებლად. მოსწავლეები იყვნენ როგორც მაღალი და საშუალო, ასევე დაბალი აკადემიური მოსწრების, მათ შორის იყო 6 დევნილის სტატუსის მქონე, ხოლო 3 სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი.

პირველ კითხვაზე თუ რა არის მოსწავლის პასუხისმგებლობა სკოლაში ყველა მათგანმა უპასუხა, რომ ეს არის კარგად სწავლა. არც ერთ მათგანს არ გაუმახვილებია ყურადღება ქცევაზე.

შემდეგი კითხვა იყო თუ რა როლი აქვს პროექტებით სწავლებას დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებაში. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ პროექტებით სწავლება მოსწონთ, თუმცა დემოკრატიულ სწავლებას ვერ უკავშირებენ. მათ მოსწონთ, რომ თავად ირჩევენ პროექტის თემას, დავალებებს, ხალისით ეკონტაქტებიან ერთმანეთს, აქვთ ერთგვარი შეჯიბრი სხვა ჯგუფებთან და ასე შემდეგ.

მომდევნო კითხვაზე პასუხები მკვეთრად გაიყო. ნაწილმა (16) განაცხადა, რომ მშობელთა მორიგეობის შემოღება სკოლაში შეიძლება კი გააჯანსაღებს სასკოლო გარემოს, მაგრამ ვისი მშობლებიც ივლიან, იმათ შვილებს შეიძლება მეგობრებმა დასცინონ, ან აითვალწუნონ. გამოკითხულ

მოსწავლეთა ძალიან მცირე ნაწილმა (4) განაცხადა, რომ მშობელთა მორიგეობა მისაღებია და ვერავინ ვერ დასცინებს მათ თუ მათი მშობლები იქნებიან მორიგეები.

რაც შეეხება პრობლემის არსებობისას დამრიგებელზე მიმართვას, აქაც აზრი გაიყო. უმეტესმა ნაწილმა განაცხადა, რომ არ ღირს ბავშვების პრობლემაში უფროსების ჩარევა, თითქოს კი გვარდება პრობლემა, მაგრამ მერე, გარეთ უფრო დიდ უსიამოვნებებს აწყდებიან. მოსწავლეთა ნაწილი (6) ამბობს რომ ეს „ჩაშვებაა“.

და ბოლოს, მოსწავლეები ამბობენ, რომ დამრიგებელს შეუძლია კლასში თანასწორი გარემოს დამკვიდრება და შენარჩუნებაც. უფრო მეტიც რამდენიმე მოსწავლემ, რომლებიც კლასელები არიან განაცხადეს, რომ მათ კლასში იყო სერიოზული პრობლემები მოსწავლეებს შორის. იყო ე. წ. “სასტავები“ ანუ დაჯგუფებები და მას შემდეგ რაც დამრიგებელი შეეცვალათ ეს ასე აღარაა. თუ როგორ მოხდა, რომ მოსწავლეებმა დამოკიდებულება შეიცვალეს ამაზე პასუხი არ ჰქონდათ და განაცხადეს, რომ ალბათ სკოლის გარეთ ხშირად ერთად ყოფნამაც იმოქმედაო.

<u>ანალიზი:</u> მოსწავლეები ვერ აცნობიერებენ თავიანთ როლს სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაში, მათ მოსწონთ მრავალფეროვანი აქტივობები, მშობელთა მორიგეობა ძალიან სენსიტიური თემაა მათთვის და ამიტომ საჭიროა დამატებითი ანალიზი ამ ნაბიჯის დაგეგმვამდე, მოსწავლეთა დიდ ნაწილს არ მოსწონს უფროსების ჩარევა „თავიანთ“ საქმეში და ცალსახად, გამოკითხულ მოსწავლეთა აზრით, დამრიგებელს შეუძლია თანასწორი გარემოს დამკვიდრება და შენარჩუნება კლასში.

ინტერვიუ დამრიგებლებთან (სულ 8 ინტერვიუ)

ინტერვიუ ჩატარდა 8 დამრიგებელთან. ისინი შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მათი ინფორმირებული თანხმობის შემდეგ ინტერვიუები ჩატარდა ყველასთან ცალ-ცალკე. არც ერთ მათგანთან არ განხორციელებულა ვიდეო ჩაწერა. პასუხებს უბრალოდ ვინიშნავდი გასაანალიზებლად. ისინი წარმოადგენდნენ როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო კლასების დამრიგებლებს.

როგორც ინტერვიუდან აღმოჩნდა გამოკითხული მასწავლებლები გრძნობენ თავს კოლექტივის თანასწორუფლებიან წევრად თავს. მათ აღნიშნეს, რომ საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს დააყენონ საკითხი დირექციის წინაშე, გამოთქვან მოსაზრებები, იდეები ან ინიციატივები და ისინი მხარდაჭერილი არის დირექცია-ადმინისტრაციის მიერ. ასევე აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართულები.

რაც შეეხება მოსწავლეებს, რომლებიც გამორჩეულები არიან კლასში და ვისი აზრიც მუდამ დომინანტია, ასეთი მოსწავლეების არსებობას კლასში არ უარყოფს არც ერთი დამრიგებელი და ამას სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. მათ აღნიშნეს, რომ თავად ზოგიერთი მოსწავლე გამოირჩევა ლიდერის თვისებებით, შეუძლიათ კლასის დარწმუნება ამიტომაც თავად ბავშვები აღიარებენ ხოლმე მას

ლიდერად. თუმცა მათვე აღიარეს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტი იწვევს კლასის გაყოფას, გათიშულობას და ისინი ცდილობენ ხოლმე გადაწყვეტილების მიღებამდე ყველას აზრი მოისმინონ (მაგალითად საექსკურსიო ადგილის შერჩევისას).

დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ კლასში მოსწავლეები სხედან იმის მიხედვით, როგორც თავად გადაანაწილეს. ზოგ კლასში „კარგი“ მოსწავლეები წინა მერხებზე და „შედარებით სუსტები“ (ფორმულირება „კარგი“ მოსწავლე და „შედარებით სუსტები“ გამოკითხული მასწავლებლებისაა) უკანა მერხებზე. შეკითხვაზე რატომ გადაწყვიტეს ასე მათი პასუხი იყო, რომ ვისაც მეტად აინტერესებს სწავლა ის წინ უნდა იჯდეს (!).

მშობელთა ჩართულობის მომხრე არის აბსოლუტურად ყველა დამრიგებელი, თუმცა მორიგების შემოღებაზე სხვადასხვა აზრი აქვთ. მაგალითად ერთმა დამრიგებელმა განაცხადა, რომ მშობლებისათვის მორიგეობა რთული იქნება. ერთ-ერთმა დამრიგებელმა განაცხადა, რომ ალბათ კარგი იქნებოდა მოგვეწყო საუბრები მშობლებთან, სადაც მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ესაუბრათ თავიანთ შვილებზე. ეს თანამშრომლობისკენ უბიძგებდა მშობლებს.

<u>ანალიზი:</u> თავად ის ფაქტი, რომ ადამიანები სასკოლო საზოგადოების თანასწორ წევრებად მიიჩნევენ თავს, ძალიან კარგია. თუმცა ასეთი გარემოს ჩამოყალიბებას კლასებში, ვერ შეუწყობს ხელს ის, რომ მათ გამორჩეული მოსწავლეები ჰყავთ. თან არ უარყოფენ ამას და მიაჩნიათ, რომ ეს გამორჩევა ბუნებრივად მოხდა მოსწავლეების მიერ. საჭიროა მეტი ინფორმირებულობა, სამუშაო შეხვედრები დამრიგებლებთან ან ტრენინგები იმისათვის, რომ მათ შეძლონ კლასში მიმდინარე მოვლენების იდენტიფიცირება და დაარქვან ყველაფერს თავისი სახელი, რაც თავის მხრივ დაეხმარებათ მომდევნო მიზანმიმართული ნაბიჯების გადადგმაში კლასში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებისთვის.

ვფიქრობ აღმაშფოთებელია კლასში მოსწავლეთა გადანაწილების პრინციპი. ამ კითხვის პასუხისას თავად ტერმინში „კარგი“ და „შედარებით სუსტი“ მოსწავლეები ნათლად გამოჩნდა დამრიგებელთა სტიგმატიზებული მიდგომა მოსწავლეებისადმი. რაც კიდევ უფრო უარეს მიდგომაშია გადაზრდილი. მოსწავლეები თავისით არ ირჩევენ ვის გვერდით დასხდებიან, წინა ადგილებს დაიკავებენ თუ უკანას და ასე შემდეგ. ამგვარი „გადანაწილება არის ყოვლად დაუშვებელი და ინტერვენციების განხორციელებისას აუცილებელი იქნება ამის გათვალისწინება.

რაც შეეხება სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას გამოკითხულ დამრიგებელთა მოსაზრებებიც დასამუშავებელია ინტერნეტ გამოკითხვითა და ამ კითხვაზე მოსწავლეთა პასუხების ჭრილში

ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან (სულ ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობდა ჯამში 26 მოსწავლე)

მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებული თანხმობის შემდეგ მოეწყო 3 ფოკუს ჯგუფი.

მოსწავლეებმა კითხვაზე თუ რას შეცვლიდნენ სკოლაში მათი ნება რომ იყოს ცალსახად უპასუხეს ინფრასტრუქტურა. ძნელია არ დაეთანხმო მათ, თუმცა იქვე განვმარტე, რომ ამჯერად გვინდოდა გვესაუბრა თუ რა ცვლილებებს განვახორციელებდით სკოლის შინაარსში.. პასუხები მრავალგვარი იყო და ძირითადად მასწავლებლების მიმართ სურვილებს უკავშირდებოდა. მათ აღნიშნეს, რომ მასწავლებლებმა უნდა მოუსმინონ მოსწავლეებს, უნდა გაუგონ, არ უნდა ეჩხუბონ, არ უნდა „გაუჭედონ“ რაღაც თემებზე, უნდა აზროვნებდნენ „ახალგაზრდულად“. როდესაც თემა მეტად გავშალეთ აღმოჩნდა, რომ მათ მეტი თავისუფლება სჭირდებათ. მაგალითად არ მოსწონთ, როცა დასვენებაზეც კი დამრიგებელია კლასში და „აკონტროლებს“ მათ. ურჩევნიათ რომ ენდოთ მასწავლებლები და უფრო არ დააშავებენ არაფერს. მათ მოსწონთ რომ აქვთ საშუალება ატარონ თანაგანმანათლებელთა ტრენინგები და თვლიან რომ ეს ძალიან კარგი საშუალებაა ინფორმაციების გაცვლისთვის და ასევე სხვადასხვა კლასების ერთმანეთთან დაახლოებისთვის. მოსწონთ აგრეთვე ფილმების ყურება და მათი განხილვები. განსაკუთრებით აღნიშნავენ კლუბის „რა? სად? როდის?“ არსებობას სკოლაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ თანასწორი გარემოს შექმნა დირექციის საქმე ჰგონიათ. არც ერთ მოსწავლეს არ დაუფიქსირებია განსხვავებული პასუხი. მოსწავლეთა აზრით თანასწორობა მხოლოდ მაშინ იქნება სკოლაში, როცა მასწავლებლები მოიქცევიან თანასწორად. ანუ არ ეყოლებათ ფავორიტები, სწავლის მიუხედავად ყველა მოსწავლეს შეხედავენ თანაბრად. ყველას აზრს თანაბრად გაითვალისწინებენ. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მაგალითად მათი აზრით არ არის თანასწორობა, როდესაც სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სწავლაში წარმატებული მოსწავლეების ფოტოები და არაა გამოკრული მაგალითად სპორტსმენების ფოტოები. მით უფრო რომ სკოლაში გვყავს კრივში საქართველოს ჩემპიონი, ასევე „ოქროს კლარნეტის“ მფლობელი და „ტოიოტას“ ხატვის საერთაშორისო კონკურსის ათეულის წარმომადგენელი.

როდესაც გადავედით მშობლების თემაზე ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა. მაგალითად ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ სკოლაში ფილმის ნახვის შემდეგ სახლში გაყვა ემოცია და დედასთან არჩევდა ფილმის გმირების საქციელს. აღმოჩნდა, რომ ეს ფილმი დედასაც არ ჰქონდა ნანახი. იმ საღამოს მთელმა ოჯახმა უყურა ამ ფილმს და ძალიან მოეწონათ. აღსანიშნავია, რომ საუბარი იყო ფილმზე „როცა აყვავდა ნუში“.

საინტერესო მოსაზრებები გამოიკვეთა ბოლო კითხვის დასმისას. ფოკუს ჯგუფში მონაწილე ბავშვები თვლიდნენ, რომ ისეთი მოსწავლეები ირიყებიან ხოლმე კლასიდან, ვინც ღირსია. როდესაც ამ ტემას ჩავუღრმავდით თქვეს, რომ ზოგიერთი კლასელი არ აყვება ხოლმე მათ ხუმრობაში, სადმე წასვლისას არ მიდის მათთან ერთად და ეს არაა უფულობის ბრალი. მოკლედ ფოკუს ჯგუფში მონაწილე ბავშვები თვლიან, რომ თუ კლასში არის ე.წ. გარიყული მოსწავლე, ეს თავად ამ ბავშვის ბრალია და არა კლასის. კითხვაზე გაუკეთებიათ თუ არა მათ რამე იმისათვის, რომ ნაკლებ კონტაქტური კლასელი ჩაებათ საერთო მხიარულებაში, ყველამ უარყოფითად უპასუხა.

<u>ანალიზი:</u> მოსწავლეებს გაცნობიერებული არ აქვთ საკუთარი პასუხისმგებლობა თანასწორი გარემოს შექმნაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ თანაკლასელის მიმართ თანაგანცდაც საკმარისი არ აქვთ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოსწავლეები გარიყულ მოსწავლეს „აბრალებენ“ კლასიდან გარიყვას, თუმცა მოსწონთ თანა განმანათლებელთა ტრენინგები. გამოიკვეთა, რომ საჭიროა მათ მიერ მომზადებული ტრენინგების კარგად გადამუშავება, რათა პასუხისმგებლობის ნაწილიც გათვალისწინებული იქნას. მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების აუცილებლობა ამ ნაწილშიც გამოიკვეთა. წარმატებულ მოსწავლეებზე კი, მართლაც ძალიან სწორი შენიშვნა მივიღეთ. აუცილებელია სკოლამ ერთნაირად აღნიშნოს და დააფასოს ნებისმიერი მიმართულების წარმატება. ეს ერთიორად გაუზრდის სტიმულს ყველა მოსწავლეს და თანასწორობის განცდასაც დაამკვიდრებს. რაც შეეხება მშობელთა ჩართულობას. საინტერესო იდეა დაიბადა ერთ-ერთი ფოკუს ჯგუფისას. მიმაჩნია, რომ მშობლებთან და ბავშვებთან ერთად ფილმის ყურება და შემდეგ განხილვა-დისკუსია ძალიან წაადგება საერთო საქმეს.

ფოკუს ჯგუფი მშობლებთან (სულ ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი, რომლებშიც მონაწილეობდა ჯამში 35 მშობელი)

მშობელთა ინფორმირებული თანხმობების შემდეგ ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მშობლებთან. მშობლები შეირჩა მათი სურვილის მიხედვით.

პირველი კითხვაზე მშობელთა უმეტესობამ უპასუხა, რომ სკოლა შეარჩიეს იმიტომ რომ ამავე უბანშია, მათ ქმრებსა და სხვა ოჯახის წევრებსაც ეს სკოლა აქვთ დამთავრებული, არ დასჭირდებოდათ გზის ფული და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორიები იყო, თუმცა აღნიშნეს ისიც, რომ ენდობიან სკოლას და მის მასწავლებლებს. რომ არა ეს ნდობა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არ შეაჩერებდნენ ჩვენ სკოლაზე არჩევანს, რადგან ირგვლივ ძალიან ახლოს, ამავე უბანში კიდევ 5 სკოლაა.

მშობლის პასუხისმგებლობად ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ დროზე გამოუშვან ბავშვები სკოლაში, გამოატანონ სასკოლო ნივთები და ა. შ. სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას იღებენ სკოლის facebook გვერდიდან და ძალიან მოსწონთ ეს. აღნიშნეს, რომ თუ სკოლას ექნება ღონისძიებები მათი პასუხისმგებლობაა ჩართონ შვილი, დაეხმარონ სკოლას იმაში, რომ ღონისძიების მონაწილე ბავშვები გამოიყურებოდნენ შესაბამისად. აქვე ბუნებრივად საუბარში გაიჟღერა მშობელთა მორიგეობის იდეამ, რაზეც მონაწილეებს სხვადასხვა აზრი ჰქონდათ. რამდენიმემ აღნიშნა, რომ სკოლაში მორიგეობა მშობლის საქმე არაა და სკოლამ თავად უნდა მოაგვაროს ეს პრობლემა გაკვეთილებზეც და დასვენებებზეც. ერთ-ერთმა მშობელმა აღნიშნა, რომ თუ სკოლას დახმარება დასჭირდება ამ კუთხით, დროებით მას შეუძლია ასეთი დახმარების გაწევა. ამ იდეას სხვებიც დაეთანხმნენ.

მონაწილე მშობლები ცალსახად თვლიან, რომ მათი შვილების უფლებები დაცულის ჩვენ სკოლაში და ამ მხრივ სკოლასთან არანაირი პრეტენზია არ აქვთ. ასევე აღნიშნავენ, რომ ძალიან

მიესალმებიან სკოლიდან მოსწავლეთა გაშვებისათვის საშვის არსებობას. მოსწონთ, რომ დამრიგებლები მუდმივად ეხმიანებიან მათ და აყენებენ საქმის კურსში მოსწავლის სკოლიდან დროზე ადრე გაშვების შესახებ. ასევე მოსწონთ, რომ მათი შვილების მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევაში დამრიგებელი აუცილებლად იგებს მიზეზს.

ბოლო კითხვაზე პასუხისას მშობლები ყველაზე დაბნეულად გამოიყურებოდნენ. მათ ხშირ შემთხვევაში არ იციან რა დამოკიდებულება აქვს მათ შვილებს ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შესახებ. მონაწილე მშობლებმა აღნიშნეს, რომ მათი შვილები არ საუბრობენ ასეთ თემებზე. უფრო ჩაკეტილები არიან. ერთმანეთთანაც იშვიათად დადიან ბავშვები სახლში სტუმრად. ძირითადად ურთიერთობენ ინტერნეტით ამიტომ ისინი არასოდეს შესწრებიან შვილების მეგობრებთან რაიმე საკითხის განხილვას. აღსანიშნავია, რომ მათ აღიარეს ამ პროცესებში მათი ძალიან უმნიშვნელო ჩართულობა და როგორც ერთმა მშობელმა განაცხადა, იგი პირველად დაფიქრდა იმაზე, მართლა რა აზრი აქვს მის შვილს თუნდაც ოჯახში მიმდინარე ამა თუ იმ საკითხზე.

<u>ანალიზი:</u> ყველაზე ყურადსაღები რაც კვლევის ამ ნაწილში შეიმჩნეოდა არის ის, რომ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა მშობლებმა მიიღეს სურვილის გამოთქმის გამო. ანუ ისინი მეტად აქტიურები არიან ვიდრე სხვები და ეს ნაწილიც კი ძალიან გაუცხოებულია შვილებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე დიდხანს გრძელდებოდა მშობლებთან ფოკუს ჯგუფები. მათ სურთ სკოლასთან გაიხსნას თემები. მშობლებს ძალიან დიდი დეფიციტი აქვთ მასწავლებლებთან ერთად საკითხების განხილვის, გულახდილი საუბრების. კარგი იქნება თუ სკოლა დაგეგმავს ასეთი ტიპის აქტივობებს.

სკოლის მანდატურთა ჯგუფის მიერ 2017-18 სასწავლო წლებში დაფიქსირებული დარღვევის ფურცლების“ ანალიზი. გაანალიზდა როგორც რაოდენობრივად, ასევე შინაარსობრივად სკოლის მანდატურთა ჯგუფის მიერ 2017-18 სასწავლო წლებში დაფიქსირებული დარღვევები და მონაცემები გადავიტანე ცხრილში:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ფაქტები		ფაქტების რაოდენობა 15.09.2017-დან 15.06.2018-მდე
1	აკრძალული ნივთები	2
2	მოსწავლის მიერ მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა	12
3	სკოლაში მომხდარი სხვა ფაქტები	4
4	გაკვეთილზე დაგვიანება	25
5	დილით დაგვიანება	76
6	გაკვეთილიდან გაპარვა	4
7	გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა მოსწავლის მიერ	2

4.2. ძირითადი მიგნებები

სკოლაში თანასწორობის კუთხით გამოკვეთილია პრობლემები რამდენიმე მიმართულებით.

- მოსწავლეთა შორის უთანასწორო მოპყრობის ფაქტები ვლინდება კლასებში ე.წ დაჯგუფებების არსებობით
- მასწავლებლებს ჰყავთ ე.წ „გამორჩეული მოსწავლეები“
- გაკვეთილებზე ადგილი აქვს სტიგმატიზებულ დამოკიდებულებებს
- მოსწავლეთა ნაწილი კონფლიქტებისას არ ენდობა დამრიგებელს და თავად „აგვარებს“ პრობლემას, რაც ახალი პრობლემების დასაბამი ხდება
- მოსწავლეთა ნაწილი ვერ აცნობიერებს საკუთარ როლს სკოლაში თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებაში
- მშობლები ნაკლებად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში და ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე
- სკოლის ფიზიკური გარემო არ ამკვიდრებს თანასწორობის განცდას

4.3. ინტერვენციები

1. ფიზიკური გარემო - წარმატებულ მოსწავლეთა გვერდით წარმატებულ სპორტსმენთა, მხატვართა და მუსიკოსთა ფოტოების და მიღწევების განთავსება.
2. პროექტი - გამოჩენილი ქალები. პროდუქტი - A3 ფორმატის მინიმუმ 15 ფოტო

3. შინაგანაწესის პოპულარიზაცია - ყველა სართულზე მსხვილი შრიფტით წახალისების ფორმები
4. პროექტი „იდეების მოედანი“
5. ერთი კლასის მასწავლებელთა შეხვედრების კულტურის დამკვიდრება დამრიგებლების ინიციატივით. თავიდან დავესწრები, მერე საკითხებს შევითანხმებ - მინიმუმ თვეში 1 შეხვედრა ყველა კლასისთვის
6. სადამრიგებლო საათების მონიტორინგი
7. ტრენინგ მოდულების მომზადება „მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები“ და „კონფლიქტების მართვა“. რამდენიმე მოსწავლის გადამზადება და თანა განმანათლებელთა ტრენინგები ყველა კლასში. <u>ყველას მონიტორინგი</u>
8. ყველა დამრიგებლის გადამზადება „თანასწორობის საკითხებზე“.
9. მშობლებთან ერთად ფილმების ყურება და დისკუსიები
10. ფლაერების მოწესრიგება და დარიგება პერიოდულად
    ა) მშობლებისთვის
    ბ) მოსწავლეებისათვის
    გ) მასწავლებლებისათვის

თავი V. ინტერვენციების შეფასება

5.1. ინტერვენციების შეფასების მეთოდები

დაგეგმილი ინტერვენციები ჩემი აზრით ხელს შეუწყობს სკოლაში თანასწორი გარემოს დამკვიდრებას.

ინტერვენციების შეფასება არის კვლევის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. მიმაჩნია, რომ თუ ვერ მოხერხდა ინტერვენციების ადექვატური შეფასება, ეს მცდარ დასკვნებს გაგვაკეთებინებს. ამიტომ მნიშვნელოვანია სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა.

მიმაჩნია, რომ ინტერვენციები ზუსტად იგივე მეთოდებით უნდა შეფასდეს, რითაც თავად კვლევაა ნაწარმოები ანუ როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივი მეთოდებით. კერძოდ:

ანკეტირება - ეს მეთოდი ძალიან დამეხმარება მონაცემების სწრაფად შეგროვებაში. იგი გამოყენებული იქნება როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთან.

ინტერვიუ - ინტერვიუ მოეწყობა მანდატურებთან

ფოკუს ჯგუფი - მოეწყობა ფოკუს ჯგუფი მშობლებთან (4) და მოსწავლეებთან (4) შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის კითხვები შეხვედრიდან შეხვედრამდე დაიხვეწოს ან შეიცვალოს საჭიროების მიხედვით.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიით კვლევამ კარგად დამანახა პრობლემის არსი, ასევე სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობა. გასაგები და თვალნათელი გახდა როგორც მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულება თანასწორობის საკითხების მიმართ, ასევე საშუალება მომცა დავკვირვებოდი ფიზიკური გარემოც. აქედან გამომდინარე ვფიქრობ იგივე მეთოდები დამეხმარება სწორი ანალიზის გაკეთებაში და ასევე საშუალებას მომცემს პროცესი დავინახო დინამიკაში. შემდგომში ის აქტივობები, რომლებიც გაამართლებს დავნერგოთ სკოლაში და გავხადოთ სისტემატიური, ხოლო აქტივობები, რომლებიც დიდად არ შეუწყობს ხელს თანასწორი გარემოს დამკვიდრებას, ან მოდიფიცირებულად დავამკვიდროთ, ან საერთოდ უარი ვთქვათ მასზე.

5.2. ინტერვენციების მიმდინარეობის ანალიზი და შეფასება

1. **წარმატებულ მოსწავლეთა** გვერდით წარმატებულ სპორტსმენთა, მხატვართა და მუსიკოსთა ფოტოების და მიღწევების განთავსება.

   სკოლაში კლასის დამრიგებლების მეშვეობით გამოვავლინეთ სხვადასხვა მიმართულებით წარმატებული მოსწავლეები და მათი ფოტოები განთავსდა წარმატებულ მოსწავლეთა დაფაზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ არ გამოგვიყვია ცალკე სივრცეები სწავლაში, მუსიკაში სპორტში და ა. შ. წარმატებულთათვის. ბუნებრივად შეერწყა ყველა წარმატებული მოსწავლის ფოტოები ერთმანეთს

2. **პროექტი - გამოჩენილი ქალები.** პროექტი მიმდინარეობდა 2 კვირის განმავლობაში. საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ თითოეული მოსწავლე თავისი ინტერესების მიხედვით ჩაერთო მის განხორციელებაში. ბავშვებმა წარმოადგინეს ინფორმაციები როგორც ნობელიანტი ქალბატონების შესახებ, ასევე მათ შესახებაც, ვინც თავი დაამახსოვრა მსოფლიო საზოგადოებას მათი განსაკუთრებული ღვაწლის გამო. პრეზენტაციები ჩატარდა ყველა კლასის ყველა მოსწავლისთვის საბაზო და საშუალო საფეხურზე. საინიციატივო ჯგუფს მოუწია შეხვედრა ჩაეტარებინათ სულ 7-ჯერ, ვინაიდან სკოლაში არ არის დარბაზი და შეხვედრები ერთ-ერთ საკლასო ოთახში ტარდებოდა წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. წარმოდგენილი იყო მოკლე ინფორმაციები სხვადასხვა დროის ქალბატონებზე. საბოლოოდ მთელ სკოლაში ჩატარდა გამოკითხვა თუ ვისი ფოტოების განთავსებას ისურვებდნენ სასკოლო სივრცეში. მოსწავლეებს სასურველი კანდიდატისათვის ხმის მიცემის საშუალება 1 დღის განმავლობაში ჰქონდათ. სკოლის დერეფანში განთავსდა ყველა კანდიდატის ფოტო თავიანთი ღვაწლის მოკლე აღნიშვნით (დანართი 9) ბავშვებს ბიულეტენზე უნდა მიეთითებინათ თავიანთი რჩეულის ნომერი და ადგილი, სადაც ისურვებდნენ ფოტოების განთავსებას. საბოლოოდ მომზადდა პირველი 15 ადგილის მქონე აპლიკანტთა ფოტოები. ესენია:

1. ჰეიდი ლამარი - უსადენო გადამცემის გამომგონებელი
2. თამარ მეფე - ქართველი მეფე
3. ოდრი ჰეპბერნი - ოსკაროსანი მსახიობი
4. ჟანა დარკი - ფრანგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი
5. ნინო რამიშვილი - ქართული ნაციონალური ბალეტის ფუძემდებელი
6. მაია ჩიბურდანიძე - მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში
7. კოკო შანელი - ფრანგი დიზაინერი
8. მარი სკლადოვსკა-კიური - ერთადერთი ქალი ისტორიაში, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო ორ მეცნიერებაში - ფიზიკასა და ქიმიაში
9. ვერიკო ანჯაფარიძე - ქართველი გამოჩენილი მსახიობი
10. ამელია ერჰარტი - პირველი ქალი პილოტი, რომელმაც ატლანტის ოკეანე გადაიფრინა
11. ძიუნკო ტაბეი - პირველი ქალი, რომელმაც დაიპყრო ევერესტი
12. ნონა გაფრინდაშვილი - პირველი ქალი, რომელიც დიდოსტატი გახდა
13. ემა ლილიენ ტოდი - თვითმფრინავის გამომგონებელი
14. დედა ტერეზა - ნობელის პრემიის ლაურეატი ჰუმანიტარული საქმიანობისთვის
15. ვალენტინა ტერეშკოვა - პირველი ქალი კოსმონავტი

მათი ფოტოები განთავსდა სკოლის მესამე სართულის დერეფანში.

3. **შინაგანაწესის პოპულარიზაცია**. მოეწყო კლასის დამრიგებელთა შეხვედრები, სადაც დეტალურად დამუშავდა ის მეთოდები, თუ როგორ გაგვეხადა ცნობადი მოსწავლეებისათვის შინაგანაწესი. პირველ მეოთხე კლასებში გადაწყდა შემუშავებულიყო დღის განრიგი, კლასში ქცევის წესებთან ერთად შემუშავებულიყო რეგულაციები და აქცენტი გაგვეკეთებინა სასურველი ქცევის პოპულარიზაციაზე. მოსწავლეებისათვის იგი მიგვეწოდებინა ანიმაციებისა და ფოტოების სახით. გადავწყვიტეთ მოსწავლეებისათვის იგი გვეჩვენებინა საჭიროების გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთი ჩვენებისა. მე-5 და მე-6 კლასებში გადავწყვიტეთ მოსწავლეებისათვის შეგვეთავაზებინა თავად შეემუშავებინათ კლასის შინაგანაწესი და თავადვე განესაზღვრათ წახალისებისა და დასჯის ფორმები. მე-7-მე-9 კლასებში მოსწავლეებს დამრიგებლები დეტალურად გააცნობდნენ სკოლის შინაგანაწესს, ყურადღებას გაამახვილებდნენ წახალისებისა და დასჯის მექანიზმებზე და დააწესებდნენ კლასში ქცევის ნორმების წახალისებისა და დასჯის მათთვის მისაღებ რეგულაციებს, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის გადაწყდა ყველა დამრიგებელს დეტალურად გაეცნო სკოლის შინაგანაწესი და წარმოედგინათ ის ცვლილებები, რასაც ისურვებდნენ ისინი სკოლის მოსწავლეებში ქცევის, ჩაცმის ან სხვა ნორმების დასამკვიდრებლად.
4. **პროექტი „იდეების მოედანი“** - ეს აქტივობა ყველაზე მეტად მხარდაჭერილი აღმოჩნდა მოსწავლეების მიერ. პირველ რიგში იდეა გავაჟღერე ჩემ მასწავლებლებთან და რამდენიმე დაინტერესებულმა ადამიანმა ერთად განვაგრძეთ ფიქრი. დაახლოებით წარმოვიდგინეთ ადგილიც, თემებიც და მსჯელობაში უკვე მივხვდით, რომ ახლა ჩვენ თავზე ბევრს ვიღებდით. სჯობდა აზრი ბავშვებისთვის გვეკითხა. გავაკარით განცხადება, რომ სკოლაში იგეგმებოდა ახალი აქტივობა „იდეების მოედანი“ და დაინტერესებულ პირებს ვთხოვდით შეკრებილიყვნენ კონკრეტულ დროს. ყოველგვარი განმარტების გარეშე მოსწავლეთა საკმაო რაოდენობა შეიკრიბა. ბავშვებს ავუხსენით, რომ ვიწვევდით მსჯელობისთვის. და ვაპირებდით გაგვეხსნა ნებისმიერი თემა, რომელიც მათ დაინტერესებდათ. უნდა ვაღიარო, რომ თემები, რომლებიც მათ დასახელეს მეტად დამაფიქრებელი იყო. საბოლოოდ ბავშვები შეჯერდნენ კონფლიქტებზე. მათ აინტერესებდათ ერთად ესაუბრათ ამ თემაზე და ერთად ეფიქრათ რატომ ხდება სკოლაში კონფლიქტები. მეორე თემის შერჩევა ძალიან გაჭირდა. იმდენად აჟიტირებულები იყვნენ ამ თემით, რომ სხვა თემაზე არ ეფიქრებოდათ. მაშინ ჩვენ შევთავაზეთ ეფიქრათ კონფლიქტის პრევენციულ თემაზე. ასე დაიბადა თანამშრომლობის იდეა. იმ დღეს გადაწყდა, რომ მოსწავლეები იფიქრებდნენ ორ თემაზე: „კონფლიქტები და მისი მოგვარების გზები“ და „თანამშრომლობა, როგორც კონფლიქტის პრევენცია“. აუცილებლად მივიჩნიეთ აქტივობა ყოფილიყო მომზადებული და ორგანიზებული, რადგან მივხვდით, რომ თუ ახლა ეს აქტივობა არ გამოვიდოდა, დავკარგავდით შანსს მოსწავლეების თვალით შეგვეხედა სკოლაში მიმდინარე მოვლენებისთვის. ამიტომ

პარალელურად შევხვდით ქართული ენის მასწავლებლებს. მათაც გავაცანით იდეა და ვთხოვეთ ეს თემები დაემუშავებინათ იმ თემატიკის ჭრილში, რომელსაც კონკრეტულ დროს ასწავლიდნენ.

ასევე შევხვდით დამრიგებლებს. მათაც იდეის გაცნობის შემდეგ ვთხოვეთ აღნიშნული თემები შეეტანათ მიმდინარე კვირის სადამრიგებლო საათის თემად. პროცესი დაიძრა. საჭირო იყო ტექნიკური დეტალების დაზუსტება, რომლისთვისაც ისევ მოსწავლეებს ვთხოვეთ შეკრება. მომდევნო შეკრებაზე გადაწყდა, რომ ბავშვებს არ სურდათ სკოლის დერეფანში დასხდომა და ირჩევდნენ სკოლის ეზოს. ასევე მათ არ სურდათ საფეხურების მიხედვით გადარჩევა. მათ განაცხადეს, რომ ეს პრობლემები ყველასია, ამიტომ საბაზო და საშუალო საფეხურის ბავშვები იმსჯელებდნენ ერთად. მათ აიღეს პასუხისმგებლობა თავიანთ კლასებში იდეის შესახებ ინფორმირებაზე და მონაწილეთა რაოდენობების დაზუსტებაზე. ასე ნელ-ნელა გამოვეთიშეთ უფროსები პროცესს. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე გავაკეთე, იყო ის, რომ შევხვდი მოდერატორებს, ვნახე მათი ფლიპჩარტები, დავსვით აქცენტები, გავიარეთ თემები ბოლომდე. ერთმანეთის აზრებიც გაითვალისწინეს და კიდევ უფრო სრულყოფილად მოემზადნენ შერჩეული დღისთვის. და ეს დღეც დადგა. აღსანიშნავია, რომ ბავშვებმა თავად მოაწყვეს სივრცე. დანიშნულ დროს ყველა ადგილზე იყო. ჩვენ, უფროსები პროცესს ვაკვირდებოდით გარედან, სკოლის ეზოს ის ნაწილი, რომელიც მათ შეარჩიეს, შენობებით შემოსაზღვრული შიგა ეზოა. ამიტომ ჩვენ ისღა გვრჩებოდა, რომ ფანჯრებიდან გვედევნებინა თვალი მიმდინარეობისათვის. აღმოჩნდა, რომ 40 წუთზე გათვლილი აქტივობა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა. დასრულების შემდეგ კი ბავშვები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. რა მივიღეთ შედეგად: პირველ რიგში მოსწავლეები ამბობენ, რომ კონფლიქტები სკოლაში თანატოლებს შორისაა. მხოლოდ იშვიათი გამონაკლისია უფროსსა და მოსწავლეს შორის და ისიც ადვილად გვარდება. ამის მიზეზად ბავშვები ასახელებენ იმ ფაქტს, რომ მათ არ იციან კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები და ადვილად ურთულდებათ სიტუაცია. ბავშვები ითხოვენ კლასის დამრიგებლების მეტად გააქტიურებას. მათ მიაჩნიათ, რომ კლასის დამრიგებელმა უნდა იცოდეს ოჯახური პრობლემებიც და უნდა გაითვალისწინოს ის. კონფლიქტების დროს ამჯობინებენ არ ჩაერიოს მესამე პირი. ეს კი ყველამ ვიცით სადაც მიგვიყვანს. პრინციპში ამ უნდობლობის შედეგებს ყოველდღე ვიმკით. ფლიფჩარტზე მინაწერებში ისინი ითხოვენ მეტ სახალისო აქტივობებს. ამბობენ, რომ საკლასო აქტივობები კარგია, მაგრამ ერთი სკოლა ვართ და მეტი სასკოლო აქტივობა სჭირდებათ. და მათი გზავნილია ამოვიღოთ ხმარებიდან „მე მართალი ვარ“. ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს და ეს გასათვალისწინებელია.

5. **ერთი კლასის მასწავლებელთა შეხვედრები**ს კულტურის დამკვიდრება. ყველაზე რთულად განსახორციელებელი ეს აქტივობა აღმოჩნდა. რთული იყო მასწავლებლების დარწმუნება ასეთი შეხვედრების აუცილებლობაში. პირველი შეხვედრები რამდენჯერმე გადაიდო, რადგან ვერ ხერხდებოდა ყველა მასწავლებლის შეკრება. თუმცა, როგორც კი პირველი შეხვედრა შედგა, ეს იყო

მე-10/ბ კლასის მასწავლებელთა შეხვედრა, იგი დაგეგმილზე ბევრად მეტხანს გაგრძელდა. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლებს ბევრი ჰქონდათ ერთმანეთისათვის სათქმელი. თითოეულ მოსწავლეზე საუბარმა დიდხანს გასტანა. მასწავლებლები დეტალურად განიხილავდნენ რა შეიძლებოდა დაგვეგეგმა, იმისათვის, რომ ამ კლასში მეტი დაინტერესება გამოგვეწვია. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მოსწავლის მიმართ ერთი მასწავლებლის წარმოდგენები არ ემთხვეოდა მეორისას. ისმოდა ფრაზები: „ჩემთან ასე არ აკეთებს და ერთი უნდა დავაინტერესო და სპეციალურად მისთვის მოვიფიქრო რამე, საინტერესოა რას იზამს“, „ჩემთან ყველა დავალება მოჰქონდა და ამ ბოლო დროს რაღაც ნაკლებად აქტიურობს, საინტერესოა რა ხდება“ და ა. შ. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ამ შეხვედრებზე გამოიკვეთა არის ის, რომ დამრიგებლებმა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდეს მასწავლებლებს მათი მოსწავლეების შესახებ, რის გათვალისწინებაც კარგი იქნება მოსწავლეების მიმართ სტრატეგიის შერჩევისას. პირველივე შეხვედრას ჰქონდა ძალიან კარგი ეფექტი. შემდგომი შეხვედრები ძალიან სწრაფად დაიგეგმა. ეს ერთის მხრივ იმითაა გამოწვეული, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი სხვადასხვა კლასთან მუშაობენ და მათ უკვე ჰქონდათ გამოცდილება, ხოლო მეორეს მხრივ, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ ჰქონდათ ინფორმაცია შეხვედრების ეფექტურობის შესახებ. ამ ტიპის შეხვედრებმა თანდათან ფეხი მოიკიდა სკოლაში. განსაკუთრებით აქტიური დამრიგებლები მათ უკვე საჭიროებისთანავე აწყობენ. თავიდან კვლევაში ჩადებული იყო ინიციატივა, რომ თვეში ერთი შეხვედრა ჩატარებულიყო და პირველი ორი თვის განმავლობაში ამ გრაფიკს ვიცავდით. შემდეგ კი გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ უმჯობესია ვენდოთ თავად მასწავლებლებსა და დამრიგებლებს და ისინი თავად განსაზღვრავენ შეხვედრების სიხშირეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ასეთ შეკრებას ესწრებოდეს დირექტორი ან დირექციის წარმომადგენელი, რათა მათ იცოდნენ რა პრობლემებია კლასებში როგორც აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის თვალსაზრისით, ასევე როგორი ტიპის სოციალური თუ სხვა ტიპის (გაცილებული მშობლები, შეჭირვებული ოჯახები...) პრობლემებიდან მოდიან ბავშვები და როგორ გარემოში იზრდებიან ისინი. ყველაფრის კომპლექსურად გათვალისწინება კი ნაკლებ შეცდომებს დაგვაშვებინებს მოსწავლეებთან მიმართებაში და ასევე მოგვცემს საშუალებას კლასში ნებისმიერი აქტივობის დაგეგმვისას შესაძლო რისკები თავიდან იქნას აცილებული.

ამ აქტივობის სასკოლო კულტურად ქცევა ცოტა რთულია, რთულია მათი კოორდინირება, საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც ამ ტიპის შეხვედრებზე იხილება არის უსაშველოდ გრძელი, თუმცა რამდენიმე შედეგს იძლევა ერთდროულად და თან ძალიან სწრაფად. ძლიერდება თანამშრომლობითი კულტურა სკოლაში, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით იგეგმება ძალიან საინტერესო და შეთანხმებული აქტივობები. მასწავლებლებს საშუალება აქვთ თითოეული მოსწავლის უნარებზე, შესაძლებლობებზე, დამოკიდებულებებზე, საცხოვრებელ პირობებზე და საჭიროებებზე ჰქონდეთ სრულყოფილი წარმოდგენა. ეს კი მათ უმარტივებს თითოეულ

მოსწავლესთან მიდგომის სტრატეგიას. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის შედეგი, რომელიც საერთოდ არ იყო დაგეგმილი აღნიშნული ინტერვენციის განხორციელებისას. რაკი მასწავლებლებმა აღმოაჩინეს ზოგ შემთხვევაში მკვეთრად განსხვავებული ქულები სხვადასხვა საგანში ზოგიერთი მოსწავლის მიმართ, ბუნებრივად დაიბადა კითხვა შეფასების სტრატეგიებსა და კრიტერიუმებზე. ეს დამატებითი კიდევ ერთი მძლავრი შედეგი დაგვემატა. საერთო ან მკვეთრი განსხვავებების გარეშე შეთანხმებულმა შეფასების სტრატეგიამ მოსწავლეებს გაუჩინათ მწყობრი წარმოდგენა თითოეულ ქულაზე და თანდათან მოიმატა განმსაზღვრელი შეფასების მიმართ ნდობამ. დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა ის გამოკითხვები, რომელთა შედეგებსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

6. **სადამრიგებლო საათების მონიტორინგი.** მონიტორინგის განხორციელებამდე აუცილებელი იყო დამრიგებლების მონაწილეობით შევთანხმებულიყავით რა კრიტერიუმებზე გამახვილდებოდა ყურადღება მონიტორინგისას. გადავწყვიტეთ დოზირებულად შეგვეტანა სადამრიგებლო საათის თემებში თანასწორობა, კონფლიქტები, უფლება-მოვალეობები, თანამშრომლობა და ა. შ. გავითვალისწინეთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიც. კოორდინირებული მუშაობისათვის გადავწყვიტეთ მოგვეწყო შეხვედრები დამრიგებლებთან თვეში ერთხელ. ამ შეხვედრებზე ვსაუბრობდით უკვე განხორციელებულ თემებზე, დეტალურად ვიხილავდით რა მიზნით იყო შეტანილი ესა თუ ის თემა და მოხერხდა თუ არა საბოლოოდ მიზნის მიღწევა. შემდეგ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებით ვგეგმავდით ყველა კლასში ახალ თემას. საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა ამ შეხვედრების კოორდინირება. მონიტორინგისთვის შევარჩიეთ მარტივი ჩეკ ლისტი, რითაც უბრალოდ ჩატარება-არ ჩატარებას ვამოწმებდით და რეფლექსიით ვარკვევდით რამდენად გადიოდა მასწავლებლები შედეგზე. შეხვედრებმა უზრუნველყო ის, რომ მოუმზადებელი არავინ მოდიოდა. ყველას მზად ჰქონდა თემა, რომლის დაგეგმვასაც აპირებდა და ამ განხილვების შემდეგ პრაქტიკულად ყველა სადამრიგებლო საათი ჩატარდა და ჩატარდა ისინი მიზნობრივად. უიშვიათესი გამონაკლისი გარდა არ იყო გაცდენის შემთხვევები. მოსწავლეებს მოსწონდათ თავისუფალი ფორმატი და მოსწონდათ შეთავაზებული სტრატეგია. რიცხვებში გამოხატულ შედეგებს ქვემოთ წარმოგიდგენთ.

7. **ტრენინგ მოდულების მომზადება** „მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები“ და „კონფლიქტების მართვა“. რამდენიმე მოსწავლის გადამზადება და თანაგანმანათლებელთა ტრენინგები ყველა კლასში. ტრენინგ მოდულების შექმნაში ჩაერთო სკოლაში არსებული 3 ქართულისა და ერთი რუსული ენის მასწავლებელი. მათ ტრენერობის გამოცდილება აქვთ და ამიტომ ამ რესურსის გამოყენება ყველაზე მომგებიანად ჩავთვალეთ. სამუშაო გადავანაწილეთ მათივე სურვილის გათვალისწინებით და 2 კვირაში შეიქმნა ტრენინგ მოდულები, რომლებიც ითვალისწინებდა 2 დღიან და დღეში 2 საათიან ტრენინგებს. სატრენინგო პერიოდში გადაწყდა სამუშაო მასალის დარიგებაც და ასევე შევთანხმდით იმ საშინაო დავალებაზე, რასაც გაითვალისწინებდა ტრენინგ

მოდულის პირველი სამუშაო დღე. ჩავთვალეთ, რომ აღნიშნული ტრენინგების ჩატარება არ იქნებოდა რელევანტური სწავლების დაწყებით საფეხურზე. ამიტომ ტრენინგების ჩატარება გადავწყვიტეთ 25 მარტიდან 25 აპრილამდე პერიოდში. წელიწადის ამ მონაკვეთში აღარაა სიცივეები და არ არის დამატებითი გათბობის უზრუნველყოფის საჭიროება, ამიტომ ეს დრო ყველაზე ხელსაყრელად ჩავთვალეთ. ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია ის, რომ შიგა რეგისტრაცია გამოცხადებულიყო ტრენინგებზე და მოსწავლეთა იმ ნაწილს მოესმინათ ის, რომლისთვისაც საინტერესო იყო აღნიშნული თემები. პირველი ეტაპისათვის ესეც ძალიან მომგებიანად ჩავთვალეთ. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სამომავლოდ აუცილებლად მოსაფიქრებელია მექანიზმი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტრენინგები (შესაძლებელია გამოცდილების მიხედვით შეიცვალოს კიდევაც) სავალდებულო გახდეს საბაზო საფეხურის ყველა მოსწავლისათვის. ცალკე საკითხი გახდა ტრენერი მოსწავლეების შერჩევა. აუცილებელი გახდა იმ მინიმალური უნარ-ჩვევების მოსწავლეთა აღმოჩენა, რომელიც საჭიროა ტრენინგის ჩასატარებლად. პირველ ეტაპზე სკოლაში გამოვაცხადეთ დაინტერესებულ ადამიანთა შეკრება. შემდეგ შევხვდით მათ. ვისაუბრეთ რა ტიპის აქტივობას ვგეგმავდით და რა უნარების მქონე ადამიანები იქნებოდა საჭირო. მომდევნო დღისთვის დავნიშნეთ ინდივიდუალური გასაუბრება იმ მოსწავლეებთან, რომლებიც თავად ჩათვლიდნენ, რომ ჰქონდა ტრენინგების ჩასატარებლად საჭირო უნარები. გასაუბრების შედეგად შევარჩიეთ 4 მოსწავლე. ოთხივე საშუალო საფეხურიდან. მათ შორის 3 გოგონა და ერთი ვაჟი. დავგეგმეთ შერჩეულ მოსწავლეებთან სამუშაო შეხვედრა და ტრენინგ მოდულის გაცნობა. დეტალურად ავუხსენით ყველა აქტივობის მიზანი, ჩატარების სტრატეგია და თუ რა მიმართულებით უნდა გაემახვილებინათ ყურადღება. შემდეგ შეხვედრაზე თითოეულ მათგანს ჩავატარებინეთ 15 წუთიანი იმიტირებული ტრენინგი, თავიანთ შერჩეულ აქტივობაზე. საბოლოოდ შევარჩიეთ ოთხივე მათგანი და ყველა ტრენინგის მონიტორინგს ვაწარმოებდით სხვადასხვა დროით.

8. ყველა დამრიგებლის **გადამზადება „თანასწორობის საკითხებზე“.** აღნიშნული აქტივობა განხორციელდა რამდენიმე ჯგუფად. შეხვედრას ესწრებოდა ყველა დამრიგებელი. შეხვედრებს უძღვებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტები. ეს ერთგვარი გაგრძელება გამოდგა იმ მიმართულებისა, რაც პრიორიტეტულად ჩათვალა აღნიშნული პროექტის მართვის ჯგუფმა მასწავლებლის სახლთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. ტრენინგები მიმდინარეობდა მშვიდ, საქმიან ვითარებაში. ტრენინგის დასრულების შემდეგ დამრიგებლებისთვის მეტად გასაგები გახდა სადამრიგებლო საათის ფარგლებში განსახილველი თემები და ასევე მოსწავლეების მიმართ მიდგომები. ჩემი აზრით უნდა გაიზარდოს იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც თავს იგრძნობენ თანასწორუფლებიანად კლასსა და სკოლაში.

9. **მშობლებთან ერთად ფილმების ყურება** და დისკუსიები. ეს აქტივობა განხორციელდა საბაზო საფეხურზე და იგი თავის თავზე აიღო სკოლის მუსიკის მასწავლებელმა ქალბატონმა თამარ გაბისონიამ. აღსანიშნავია, რომ მას ჰქონდა ამის გამოცდილება, რადგან წინა სასწავლო წელს სკოლაში მიმდინარე პროექტის „კინო სკოლაში“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო სკოლის დონეზე. თანამშრომლობა შედგა მასა და კლასის დამრიგებლებთან. პროცესში ასევე ჩართული იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და სემესტრის განმავლობაში სულ 3 ასეთი შეხვედრა მოეწყო. ფილმები შეირჩა ერთობლივად, ასევე ერთობლივად ჩამოყალიბდა სავარაუდო სადისკუსიო კითხვები. პირველ ეტაპზე მშობლების დაინტერესება არ იყო მაღალი, სულ 8 მშობელი მობრძანდა და მიიღო აქტივობაში მონაწილეობა, თუმცა დისკუსიას ბოლო არ უჩანდა. მშობლები გაცხოველებით ჩაერთვნენ ფილმის განხილვაში. რამდენჯერმე მოუწია მოდერატორს დისკუსიის კალაპოტში დაბრუნება. საბოლოოდ ამ აქტივობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა მშობლების მხრიდან სოციალურ ქსელში. ისინი მადლობას უხდიდნენ სკოლას და გამოთქვამდნენ მზადყოფნას მსგავსი ტიპის აქტივობებში კვლავ მონაწილეობის მისაღებად. უფრო მეტიც ერთ-ერთმა მშობელმა შემოგვთავაზა თავად წაეყვანა დისკუსია. ცხადია ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და მომდევნო ფილმების ჩვენებას გაცილებით მეტი მშობელი ესწრებოდა. ძალიან საინტერესო და პროდუქტიული იყო განხილვებიც. უკუკავშირისას ერთმა მშობელმა აღნიშნა, ვერ წარმომედგინა თუ ჩემი შვილი ასე უყურებდა მოვლენებს და ასეთ მხარდაჭერას უცხადებდა დამნაშავე ბავშვებსო (ფილმი დაიჭირე რიტმი). ყველა მონაწილე მშობელი ერთხმად აღნიშნავდა, რომ შვილებთან ერთად არათუ ფილმების გარჩევა მოვლენებზე მსჯელობაც ძალიან საინტერესო იქნებოდა. მათ გამოთქვეს სურვილი კლასების დონეზეც იგივე აქტივობები დაგეგმილიყო. ჩვენ მათ დავპირდით, რომ ამ ინიციატივას აუცილებლად გავითვალისწინებდით და გადავიტანდით კლასის დონეზე.

ეფექტი, რომელიც გამოიწვია ამ აქტივობამ წარმოდგენილია ქვემოთ მოსწავლეთა გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზში.

10. **ფლაერების** მოწესრიგება და დარიგება. ფლაერების დარიგებამდე საჭირო იყო გაგვესაზღვრა რა მიზნით ვარიგებდით მათ და მიზნიდან გამომდინარე შეგვემუშავებინა ფრაზები და დიზაინი. კვლევიდან გამომდინარე მოსწავლეებისთვის გზავნილი იქნებოდა დახმარებოდნენ სხვებს, ეზრუნათ ერთმანეთზე და არ დარჩენილიყვნენ მარტო თავიანთ პრობლემებთან.

მასწავლებლებთან მიმართებაში გზავნილი იქნებოდა როგორ ამოეცნოთ მოსწავლეების ქცევისა თუ ხასიათის ცვლილება და როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მსგავს სიტუაციაში, ხოლო მშობლებთან კარგი იქნებოდა ყურადღება გამახვილებულიყო რომ მეტი დრო დაუთმონ შვილებს. შეარჩიონ დასჯისა თუ წახალისების ფორმები, იმეგობრონ მათთან, აღიარონ თავიანთი შვილების მცირედი წარმატებაც კი და პრობლემის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ სპეციალისტს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები დაგვეხმარნენ ტექსტების

სინტაქსურად, მორფოლოგიურად და სტილისტურად გამართვაში, დიზაინზე იმუშავეს თავად მოსწავლეებმა. მათვე გაავრცელეს ფლაერები მშობლებში.

ფლაერები იყო ვიზუალურადაც მიმზიდველი, რადგან იყო ფერადი.

ა) მშობლებისთვის

ბ) მოსწავლეებისათვის

გ) მასწავლებლებისათვის

5.3. მეორადი მონაცემების ანალიზი და ინტერვენციების შეფასება

როგორც დაგეგმილი იყო, კვლევის ბოლო ეტაპზე მაისის თვეში ჩატარდა მეორადი მონაცემების ანალიზი. ისევ გამოიკითხა 300 მოსწავლე. გამოკითხვა ჩატარდა იმავე კითხვარით, რითაც მოხდა წელიწადნახევრის წინ პრობლემის იდენტიფიცირება. საინტერესო იყო ის კითხვებზე პასუხების მიხედვით როგორი იყო პროცესი დინამიკაში. აღსანიშნავია, რომ ამ გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეები ზუსტად ისინი არ არიან, რომელთაც ამ ტიპის გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა კვლევის დასაწყისში. პირველ ეტაპზეც და ახლაც შემთხვევითი შერჩევით შეირჩა მოსწავლეები. ამიტომ მაშინაც და ახლაც მონაცემი გამოდგება სკოლის საერთო სურათის დასანახად და ამ ნაწილში კვლევა კონკრეტული მოსწავლეთა შედეგების დინამიკას არ ზომავს.

ა) მოსწავლეთა გამოკითხვა

დაწყებითი საფეხური (მე-5 და მე-6 კლასები - სულ 40 მოსწავლე)







საბაზო საფეხური (მე-7. მე-8 და მე-9 კლასები - სულ 60 მოსწავლე)









საშუალო საფეხური (მე-10, მე-11 და მე-12 კლასები - სულ 60 მოსწავლე)









ბ) მასწავლებლები (სულ - 42)









ანალიზი: როგორც დიაგრამებიდან ძალიან ნათლად ჩანს, წელიწადნახევარში პერმანენტულმა აქტივობებმა და მიზანმიმართულმა კამპანიებმა თავისი ძალიან შესამჩნევი შედეგი გამოიღო. პრაქტიკულად ყველა საფეხურზე მოსწავლეებმა უკვე კარგად იციან რა არის ბულინგი. თავად აღიარებდნენ გამოკითხვისას, რომ ისეთი რამ როგორიცაა მაგალითად რეპლიკების მიძახება, მეტსახელების შერქმევა და ა. შ. არ აღიქმებოდა უთანასწორო მოპყრობის ფაქტად. აშკარად მოიმატა საკითხის ცნობადობამ და მეტად დაიწყო სასკოლო საზოგადოებამ ფიქრი დამოკიდებულებებსა და საკუთარ ქცევაზე. ბავშვები თითქმის აღარ ასახელებენ მასწავლებლის ყვირილს, ჩხუბს, საერთოდ აღარ სახელდება ცემის ფაქტი. მასწავლებლების გამოკითხვა ცხადყოფს, რომ მათ მეტად აქვთ გადატანილი ყურადღება საკუთარ ქცევაზე და საკუთარ მოქმედებებზე. საბოლოო ჯამში სასკოლო საზოგადოებაში დამოკიდებულების ცვლა აშკარად ჩანს თანასწორი მოპყრობის სასიკეთოდ.

ინტერვიუ:

ა) **მანდატურის სამსახური** არის სწორედ ის ნეიტრალური რგოლი სკოლაში, რომელიც ყველაზე უკეთ ხედავს ქცევის ცვლილებებს. ამიტომ ჩავთვალე, რომ გავსაუბრებოდი სკოლის მანდატურებს. შეხვედრა შედგა მათ სამუშაო ოთახში. როგორც მათ აღნიშნეს, საგრძნობლადაა შეცვლილი ბოლო პერიოდში მოსწავლეთა ქცევა, რამაც მათი დაინტერესებაც გამოიწვია. ისინიც ხედავენ სკოლის დერეფნებში აღარ ხდება „თამაშით“ შენიღბული ძალადობის ფაქტები. რამდენიმე რთული ქცევის მოსწავლეს ასახელებენ, რომელთაც მათი აზრით ინდივიდუალური მიდგომა ესაჭიროებათ. ამ საკითხს აუცილებლად ჩავუღრმავდები მათთან ერთად უახლოეს მომავალში. როგორც მათ აღნიშნეს, საგაკვეთილო პროცესის მიღმა არ რჩება არც ერთი მოსწავლე. სკოლაში საერთოდ აღარაა

მასწავლებლის მიერ კლასიდან მოსწავლის გამოძევების ფაქტი, და ასევე მეორე სემესტრის განმავლობაში არ დაფიქსირებულა არც ერთი ფიზიკური ძალადობისა და თუ გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა. მანდატურის სამსახური აღნიშნავდა, რომ მათ მხოლოდ ერთი ტიპის გადაცდომაზე უწევთ ხოლმე რეაგირება და ესაა დილით დაგვიანებები. 700 მოსწავლიდან დღის განმავლობაში აგვიანებს საშუალოდ 5-8 მოსწავლე, მაგრამ ისინი არიან ერთი და იგივე ბავშვები. ამიტომ მათ მიმართაც საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.მონაცემები, რომლებიც 2018-19 სასწავლი წლის განმავლობაში დაფიქსირდა არის შემდეგი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაფიქსირებული ფაქტები		ფაქტების რაოდენობა 17.09.2018-დან 14.06.2019-მდე	შემცირდა
1	აკრძალული ნივთები	-	სრულად
2	მოსწავლის მიერ მოსწავლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა	2	6-ჯერ
3	სკოლაში მომხდარი სხვა ფაქტები	1	4-ჯერ
4	გაკვეთილზე დაგვიანება	15	10-ით
5	დილით დაგვიანება	72	თითქმის იგივეა
6	გაკვეთილიდან გაპარვა	-	სრულად
7	გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა მოსწავლის მიერ	-	სრულად

ფოკუს ჯგუფების ანალიზი

ა) მშობელთა უმრავლესობამ შეხვედრის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ ისინი მოხარულნი არიან იმ ფაქტით, რომ მათ სკოლაში ხშირად ეძახიან და ეკითხებიან აზრს. რაც ყველაზე საინტერესოა, მათ აზრს ითვალისწინებენ კიდეც. კითხვაზე დაცულია თუ არა მათი შვილების უფლებები ჩვენს სკოლაში მათ უპასუხეს, რომ ცალსახად არის დაცული. ორმა მშობელმა აღნიშნა, რომ მოუწია ამ საკითხთან დაკავშირებით მიემართა დამრიგებლისათვის და ინციდენტი, რომელიც მის შვილს ეხებოდა სრულად ამოიწურა. მანვე აღნიშნა, რომ თუ ასე ერთობლივად იმუშავებს სკოლა და მშობელი და ადრეულ ეტაპზე შეამჩნევს პრობლემას, მაშინ აღარ გართულდება და იოლად მოგვარდება. შემდეგი კითხვაზე ყველა მშობელმა უპასუხა, რომ იცის სკოლაში მიმდინარე ბოლოდროინდელი აქტივობების შესახებ, ჩართულია მათი შვილებიც. ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ იდეების მოედანზე თემის წარსადგენად მან შვილთან ერთად იმუშავა და თავადაც ძალიან ბევრი ინფორმაცია მიიღო კონფლიქტების შესახებ. მანვე გამოთქვა ინტერესი, რომ მშობლების იდეების მოედანში დიდი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას. შემდეგ კითხვაზე დიდი ჟრიამული და ხმაური ატყდა. მათ ჰქონდათ უამრავი არგუმენტი, რატომ უნდა გააგრძელოს სკოლამ ასე მუშაობა. აღსანიშნავია, რომ ბენეფიტებში ისინი სწავლის ხარისხის ამაღლებასაც ასახელებდნენ. და ბოლოს მშობელთა ნაწილმა გამოთქვა მზაობა მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ შეთავაზებულ აქტივობებში, თუმცა სასურველი აქტივობები მათ არ დაუსახელებიათ

ბ) მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფი დაიწყო კითხვით თუ რამ მიიქცია მათი ყურადღება სკოლაში მიმდინარე ბოლოდროინდელი აქტივობებიდან. მათ დაასახელეს „იდეების მოედანი“, თანა განმანათლებელთა ტრენინგები თანასწორობის საკითხებზე, პროექტი „ქალები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“ ასევე კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ წარჩინებულთა დაფაზე ყველა ტიპის წარჩინებულები არიან უკვე.

შემდეგ კითხვაზე მათი უმრავლესობა ამბობდა, რომ დერეფნებში რომ აღარ ჩხუბობენ ბავშვები ეს ბოლოდროინდელი აქტიურობის შედეგი ჰგონიათ. პასუხებში გაიჟღერა ასევე მასწავლებელთა ლექსიკის დახვეწამაც.

სადამრიგებლო საათის თემები მოსწონთ გამოკითხულ მოსწავლეებს, ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ამ თემებს თავადაც სთავაზობენ დამრიგებლებს და ეს ძალიან მოსწონთ.

გამოკითხული ყველა მოსწავლე ამბობს, რომ მათ კლასებში შემცირებულია შეფარული დაცინვის, ჩაგვრისა და ნებისმიერი უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, რადგან ამის საშუალებას თავად კლასელები აღარ აძლევენ ერთმანეთს. ამ საქმეში კი ყველა მოსწავლე აღიარებს როგორც თავიანთ პირად წვლილს, ასევე აღნიშნავენ, რომ დამრიგებლის დამოკიდებულებები არის გადამწყვეტი.

თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

6.1. რეკომენდაცია

სკოლაში თანასწორობის დასამკვიდრებლად და თანასწორი გარემოს უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია:

1. ფიზიკური გარემოს გასაჯანსაღებლად წარმატებულ მოსწავლეთა გვერდით წარმატებულ სპორტსმენთა, მხატვართა და მუსიკოსთა ფოტოების და მიღწევების განთავსება.
2. გამოჩენილი ქალების ფოტოების განთავსება კედლებზე მცირე ზომის ტექსტებით მათი ღვაწლის შესახებ.
3. შინაგანაწესის პოპულარიზაცია
4. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში (ერთობლივად ფილმების ნახვა და გარჩევა, ერთობლივი გამოფენების მოწყობა, მათი მოწვევა გულახდილი საუბრებისათვის...)
5. მოსწავლეთა იდეების შეკრება და განხორციელება (მაგ: „იდეების მოედანი“)
6. ერთი კლასის მასწავლებელთა შეხვედრების კულტურის დამკვიდრება
7. სადამრიგებლო საათების მონიტორინგი
8. ტრენინგ მოდულების მომზადება „მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები“ და „კონფლიქტების მართვა“. რამდენიმე მოსწავლის გადამზადება და თანაგანმანათლებელთა ტრენინგები ყველა კლასში.

9. დამრიგებლების გადამზადება „თანასწორობის საკითხებზე“. (შეიძლება ტრენერის მოწვევა)
10. მოსწავლეთა მხარდამჭერი ფლაერების მომზადება და დროდადრო მათი დარიგება თავად მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის, მშობლებისათვის.

6.2. კვლევის ნაკლოვანებები

ჩატარებული კვლევა მოიცავდა სკოლაში თანასწორობის საკითხების კვლევას და ამ კუთხით სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას.

- ✓ ლიტერატურა, რომელიც დამუშავდა, იყო მიზნის შესაბამისი, თუმცა კარგი იქნებოდა ამ მხრივ მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. კვლევას დიდი ალბათობით დააკლდა ის, რის გათვალისწინების საშუალებასაც მომცემდა უცხოური ლიტერატურის დამუშავება. ვინაიდან ენის ბარიერი სერიოზულ პრობლემად მაქვს შექმნილი, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა კვლევაში ჩამერთო ამ მხრივ დახმარების შესაძლებლობის მქონე ადამიანი.
- ✓ კვლევაში კარგი იქნებოდა ჩართული ყოფილიყო განათლების საკითხების მკვლევარი, ფსიქოლოგი ან სფეროს სპეციალისტი. ეს ერთის მხრივ ძალიან ბევრ უხერხულობას ამარიდებდა, ხოლო მეორე მხრივ მეტად ეფექტურს გახდიდა შედეგებს
- ✓ ამ გადასახედიდან უმჯობესი იქნებოდა კვლევის არეალის დავიწროება. ახლა რომ თავიდან ვიწყებდე ავირჩევდი ან მხოლოდ ფიზიკურ გარემოს ან მხოლოდ სასწავლო პროცესს ან მხოლოდ არაფორმალურ განათლებას ან მხოლოდ მშობელთა ჩართულობას და ასე დავავიწროვებდი არეალს. ასე ყოვლისმომცველმა კვლევამ წაიღო უამრავი ენერგია, დრო და რესურსი. ამასთან მიმაჩნია, რომ ერთ საკითხზე კონცენტრირების შემთხვევაში შედეგები იქნებოდა კიდევ უფრო მეტად ეფექტური.
- ✓ განხორციელების თვალსაზრისით უმჯობესი იქნებოდა კვლევა ეწარმოებინა ორ ადამიანს.

თავი VII. დასკვნა

სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებათა კვლევა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა სკოლაში თანასწორობის კუთხით არსებული გარემო და დაგვესახა გზები მის შესაქმნელად/გასაუმჯობესებლად /შესანარჩუნებლად. პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა რამდენიმე კუთხით. კვლევაში ჩართული იყო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. შესწავლილი იქნა როგორც ფიზიკური გარემო, ასევე სასწავლო პროცესი. ამ მხრივ დაკვირვებები იქნა წარმოებული გაკვეთილებს შორის დასვენებების პერიოდშიც. მრავალმხრივი შესწავლის შემდეგ იდენტიფიცირებული იქნა პრობლემები თანასწორობის კუთხით რამდენიმე მიმართულებით. დაიგეგმა კვლევის მეთოდოლოგია, მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები

(კითხვარები, სავარაუდო კითხვები...) დაზუსტდა კვლევაში მონაწილეთა რაოდენობები და დაგეგმილის მიხედვით ჩატარდა ყველა აქტივობა. კვლევის პროცესში კიდევ უფრო გამოიკვეთა კონტურები თუ რა მიმართულებით რა ტიპის პრობლემებს აწყდებოდა სკოლა. სტატისტიკურად დავითვალეთ ყველა შედეგი და გავაანალიზეთ კვლევის შედეგები, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეგეგმა ინტერვენციები. ინტერვენციები დაიგეგმა რამდენიმე მიმართულებით (ფიზიკური გარემო, ახალი აქტივობის დამკვიდრება, დამოკიდებულებების ცვლის მცდელობა...) იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ ტიპის ჩარევების განხორციელებას აუცილებლად დასჭირდებოდა მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მნიშვნელოვანი იყო მათი დარწმუნება. ინტერვენციები სკოლაში ხორციელდებოდა 5 თვის განმავლობაში. მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების ჩართულობამ ერთად განაპირობა ის შედეგები, რაც მივიღეთ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ რაკი ინტერვენციები ხორციელდება 5 თვის განმავლობაში, თემა სხვადასხვა კუთხით აქტიურდებოდა პრაქტიკულად ყველა კვირაში. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდიდა ეფექტს. საბოლოოდ მაისის თვეში დაიგეგმა მეორადი მონაცემების ანალიზი. ისინი ზუსტად იმავე მეთოდებითა და ინსტრუმენტებით განხორციელდა, რითაც ჩატარდა თავად კვლევა. ეს დინამიკაში პროცესის დანახვის საშუალებას იძლეოდა. აღმოჩნდა, რომ თვალშისაცემია თანასწორობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები. შეცვლილია მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეთა მიმართ, ასევე გაიშვიათდა სკოლაში შინაგანაწესის დარღვევის ფაქტები, მოსწავლეებში იშვიათად შეინიშნება ერთმანეთის დამცირებისა თუ უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, დამრიგებელთა აქტიურობა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, იმატა მშობელთა ჩართულობამ და ზოგადად მათმა ნდობამ სკოლის მიმართ. თითქმის ყველა აქტივობა, რაც ხორციელდებოდა სკოლის დონეზე სხვადასხვა კლასებში გადადიოდა კლასების დონეზეც.

საბოლოოდ მიმაჩნია, რომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში სასკოლო გარემო ბევრი კუთხით გაჯანსაღდა თანასწორობის მიმართულებით, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა შედეგების შენარჩუნება.

ბიბლიოგრაფია

1. ანა ჯანელიძე, ნინო ლაბარტყავა, ვიოლეტა კვირიკაშვილი, ქეთევან ქობალია „მასწავლებლის წიგნი“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2014 წ
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წწ
3. ეროვნული სასწავლო გეგმა 2017-2022 წწ
4. მაია გვიტიძე - მთარგმნელი, ევროპის საბჭო, 2016 წლის მარტი. ქართული გამოცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2017 წ. - დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები „თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში“
5. მაია გვიტიძე - მთარგმნელი, ევროპის საბჭო, 2018 წლის აპრილი, ქართული გამოცემა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წ. - დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო - ტომი 3 - გზამკვლევი დანერგვისათვის
6. ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ოსიაშვილი, მალინა საჯაია, ქეთევან კობალაძე, მასწავლებლის წიგნი „უსაფრთხო სკოლა“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წ
7. სალომე ლეკიშვილი (http://4motivi.com/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%A0/?fbclid=IwAR14vEmOEl9uJTFixeflmxDuoxlgns79UhKF95cUsTNxsngrloHZE6Jzsgc
8. „სამოქალაქო განათლება ყველასათვის“ (https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-4 აბზაცი 1, 2 და მე-6)
9. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“

დანართი 1.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მონაწილეობა ფასეული იქნება პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე. გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. რა არის ბულინგი? თუ არ შეგიძლია ამ სიტყვის ახსნა, დაწერე რა ასოციაციას იწვევს იგი შენში

---

2. მოკლედ აღწერე მინიმუმ ერთი სიტუაცია, რომელიც მომხდარა შენ ირგვლივ და მიგაჩნია, რომ ბულინგია

---

3. შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები
   ა) სახლში
   ბ) სკოლაში
   გ) ქუჩაში
   დ) ინტერნეტ სივრცეში
   ე) სხვა (სპორტი, წვეულებები...)

4. რას მიიჩნევთ უთანასწორო მოპყრობად გაკვეთილზე?

---

5. რომ აღგერიცხათ გაკვეთილზე მომხდარი უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, რომელი იქნებოდა მეტი წილი?
   ა) მოსწავლეებს შორის უთანასწორო მოპყრობა
   ბ) მოსწავლის უთანასწორო მოპყრობა მასწავლებლის მიმართ
   გ) მასწავლებლის უთანასწორო მოპყრობა მოსწავლის მიმართ

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის

კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე

იანვარი, 2018 წ

დანართი 2.

კითხვები მოსწავლეთა გამოკითხვისათვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია.
გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. არის თუ არა თქვენ კლასში კონფლიქტები და უთანასწორო მოპყრობის ფაქტები?
   ა) დიახ ბ) არა

2. ვის მიმართავთ დასახმარებლად თქვენ ან თქვენი მეგობრები როცა თქვენ ხართ უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლი ან ხედავთ უთანასწორო მოპყრობის ფაქტს?

---

3. ჩარეულხართ თუ არა მეგობრებს შორის კონფლიქტის ან სიტუაციის მოგვარებაში (გაიხსენე ფაქტი: ა) როგორ ჩაერიე, ბ) ვის მიმართე ან მიმართე თუ არა ვინმეს გ) როგორ დასრულდა ინციდენტი)
   არ მიანიშნო არავის სახელი, გვარი ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი საშუალება

---

4. გაიხსენეთ ბოლო სადამრიგებლო საათის თემა და რომელიმე აქტივობა, რომელიც დაგამახსოვრდა

---

5. თქვენი აზრით ვისი პასუხისმგებლობაა თანასწორი და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება:

   ა) კლასში? ----------
   ბ) სკოლაში? ----------

6. სკოლაში დემოკრატიული ღირებულებებისა და თანასწორი გარემოს შექმნა/შენარჩუნებისათვის რა უნდა გააკეთოს:
   ა) დირექციამ? ----------

   ბ) მასწავლებელმა? ----------

   გ) დამრიგებელმა? ----------

   დ) თქვენ? ----------

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის

კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე

2018 წ

დანართი 3.

კითხვები მასწავლებელთა გამოკითხვისათვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია.
გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. როგორ ფიქრობთ, იჩაგრება თუ არა თქვენ კლასში რომელიმე მოსწავლე?

ა) დიახ ბ) არა გ) არ ვიცი

2. რა სტრატეგიებს მიმართავთ, როცა ხედავთ კლასში მოსწავლეთა მიმართ (თანატოლის ან უფროსის მიერ) უთანასწორო მოპყრობის ფაქტებს?

---

3. მოუმართავს თუ არა დაჩაგრულ მოსწავლეს თქვენთვის? გაიხსენეთ ფაქტი:

ა) ვისგან გრძნობდა უთანასწორო მოპყრობას? ----------

ბ) ჩართეთ ვინმე თუ არა ვინმე? ----------

გ) მოგვარდა თუ არა პრობლემა? ----------

დ) ამოიწურა თუ არა ინციდენტი? ----------

4. რამდენად ხშირად მოგმართავენ მშობლები თავიანთი შვილების მიმართ მასწავლებლის მხრიდან უთანასწორო მოპყრობის ფაქტებზე?

ა) წელიწადში 1-2-ჯერ
ბ) წელიწადში 3-5-ჯერ
გ) წელიწადში 5-ზე მეტჯერ
დ) სხვა პასუხი ----------

5. გარდა აკადემიური უნარებისა რით გამოარჩევთ ხოლმე მოსწავლეებს? რაში გამოიხატება გამორჩეულობა? ----------

---

---

6. რა ნიშნით არჩევთ ხოლმე მოსწავლეებს კლასგარეშე დავალებების მიცემისას? (პროექტები, აქციები, აქტივობები, როლები, ექსკურსიები, მორიგეობა...) ----------

---

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის
კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე
2018 წ

დანართი 4.

კითხვები მშობელთა გამოკითხვისათვის

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მოსაზრებები ჩვენთვის ფასეულია.

გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. აღზრდის როგორ სტილს იყენებთ შვილებთან?

   ა) მკაცრი ბ) ლოიალური გ) არ მიფიქრია

2. როგორ ფიქრობთ თქვენი შვილი დაიცავს თავს უთანასწორო მოპყრობისას?

   ა) დიახ ბ) არა გ) არ ვიცი

3. რის გამო შეიძლება წაახალისოთ თქვენი შვილი? ----------

4. რას იყენებთ წახალისების ფორმად? ----------

5. რის გამო შეიძლება დასაჯოთ თქვენი შვილი? ----------

6. რას იყენებთ დასჯის ფორმად? ----------

7. მოსულა თქვენი შვილი სკოლიდან უთანასწორო მოპყრობის გამო გაღიზიანებული?

   ა) არა ბ) დიახ გ) არ შემიმჩნევია

8. როგორ იმოქმედეთ ასეთ სიტუაციაში?

   ---

9. სად ხდება თქვენი აზრით ძალადობა უმეტესად თქვენი შვილის ასაკის ბავშვებში?

   ა) სკოლაში ბ) სახლში გ) ქუჩაში

10. რა უნდა გააკეთოს სკოლამ თანასწორობის დასამკვიდრებლად? (უთანასწორო მოპყრობის აღმოსაფხვრელად?)

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის

კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე

2018 წ

დანართი 5.
ინტერვიუ მოსწავლეებთან

1. თქვენი აზრით რა არის სკოლაში მოსწავლის პასუხისმგებლობა?
2. თანასწორი და დემოკრატიული კულტურის დასამკვიდრებლად რა როლი აქვს პროექტებით სწავლებას?
3. რა აზრის ხართ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ისეთ მაგალითზე, როგორიცაა მშობელთ მორიგეობა?
4. როდესაც მოსწავლე პრობლემას ვერ აგვარებს, უნდა მიმართოს თუ არა დამრიგებელს? ან ვის უნდა მიმართოს?
5. შეუძლია თუ არა დამრიგებელს თანასწორი კულტურა დაამკვიდროს კლასში?

დანართი 6.
ინტერვიუ დამრიგებლებთან

1. როგორც მასწავლებელი, გრძნობთ თუ არა კოლექტივის თანასწორ წევრად თავს?
2. რამდენად ხშირად მიგიმართავთ ადმინისტრაციისათვის იდეებითა და ინიციატივებით და ითვალისწინებენ თუ არა თქვენს აზრს?
3. თქვენს სადამრიგებლო კლასში არიან თუ არა გამორჩეული მოსწავლეები, ვისი აზრიც გადამწყვეტია ხოლმე საკითხების გადაწყვეტისას (მაგ საექსკურსიო ადგილის შერჩევა და სხვა)
4. როგორი პრინციპით სხედან მოსწავლეები კლასში?
5. რა აზრის ხართ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ისეთ მაგალითზე, როგორიცაა მშობელთ მორიგეობა?

დანართი 7.
მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფის სავარაუდო კითხვები

1. რას შეცვლიდით სკოლაში?
2. რა აზრის ხართ სკოლაში თანატოლთა მიერ ჩატარებული ტრენინგების შესახებ?
3. რა აზრისა ხარ ფილმების გარჩევა - დისკუსიის შესახებ?
4. როგორ წარმოგიდგენია თანასწორი გარემო სკოლაში
5. არიან თუ არა შენს კლასში „გარიყული“ მოსწავლეები და შენი აზრით რა არის ამის მიზეზი?

დანართი 8.
მშობლების ფოკუს ჯგუფის სავარაუდო კითხვები

1. რა ფაქტორებმა გადაწყვიტა თქვენი შვილის შემოყვანა ჩვენს სკოლაში და გამართლდა თუ არა თქვენი იმედები?
2. რა არის მშობლის პასუხისმგებლობა სკოლასთან მიმართებაში?
3. როგორ ფიქრობთ დაცულია თუ არა თქვენი შვილის უფლებები ჩვენს სკოლაში?
4. იცნობთ თუ არა თქვენი შვილის მეგობრებსა და მათ ოჯახებს?
5. ყოველთვის იცით თუ რა დამოკიდებულება ააქვს თქვენ შვილს ფაქტებისა თუ მოვლენების მიმართ? როგორ იგებთ ამ დამოკიდებულების შესახებ?

დანართი 9.
(მასალის ზომები შემცირებულია კვლევის ანგარიშისთვის)

მაია ჩიბურდანიძე

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი
ქალთა შორის.

მარია მიტჩელი

ამერიკელი ასტრონომი რომელმაც ტელესკოპის
დახმარებით აღმოაჩინა კომეტა 1847 წელს

გაბრიელ ბონეერ_„კოკო“ შანელი

მოწინავე
ფრანგი დიზაინერი

ამელია ერჰარტი

პირველი ქალი პილოტი, რომელმაც ატლანტის ოკეანე გადაიფრინა

არეტა ფრანკლინი

სოულის დედოფალი

ზაბო ავალიშვილი-ხერხეულიძე

ტრაგიკული და დრამატული როლების პირველი შემსრულებელი ქალი

ძიუნკო ტაბეი

პირველი ქალი, რომელმაც დაიპყრო ევერსეტი

ვანგარი მაატაი

ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის
განმტკიცების დარგში და პირველი აფრიკელი, ვისაც
ნობელის აღნიშნული პრემია გადაეცა.

როზალინდ ფრანკლინი

ინგლისელი ბიოფიზიკოსი და მეცნიერი. შეისწავლა დნმ-
ის სტრუქტურა

ვალენტინა ტერეშკოვა

პირველი ქალი - კოსმონავტი

ბილი ჯინ კინგი

ქალთა სპორტის სიმბოლო. მთავარი მებრძოლი
მისი უფლებებისთვისა და
დამოუკიდებლობისთვის

დედა ტერეზა

ჰუმანიტარული საქმიანობისთვის
ნობელის პრემიის ლაურეატი

მარი სკლადოვსკა-კიური

ერთადერთი ქალი ისტორიაში, რომელმაც ნობელის პრემია
მეცნიერების ორ სხვადასხვა დარგში მიიღო: ფიზიკასა და
ქიმიაში

ნონა გაფრინდაშვილი

პირველი ქალი მოჭადრაკე, ვისაც
დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

ნინო რამიშვილი

ქართული ნაციონალური ბალეტის
ფუძემდებელი

ანა კონელი

სახანძრო კიბის გამომგონებელი

ვერიკო ანჯაფარიძე

ქართული სცენის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

ფლორენს პარპარტი

მაცივრის იდეის ავტორი და გამომგონებელი

ჰედი ლამარი

უსადენო, „საიდუმლო კომუნიკაციის სისტემის“ გამომგონებელი, რომელიც საფუძვლად დაედო თნამედროვე WIFI-ს

ემა ლილიენ ტოდი

თვითმფრინავის გამომგონებელი პირველი ქალი

ადამ ლავლეისი

პირველი პროგრამისტი და კომპიუტერული
მეცნიერების დედა.

არბარა მაკ-კლინტოკი

ნობელის პრემიის ლაურეატი ბოტანიკოსი

თამარ მეფე

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. თამარის
დროს საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

ემელინ პანკჰერსტი

ბრიტანელი პოლიტიკური აქტივისტი და ბრიტანული სუფრაჟისტული მოძრაობის ლიდერი. ეს მოძრაობა დაეხმარა ქალებს, რომ მოეპოვებინათ ხმის მიცემის უფლება

მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი

მე-20 საუკუნის ყველაზე ხანგრძლივი ვადით არჩეული პრემიერ-მინისტრი და 2016 წლამდე ამ პოსტზე ერთადერთი ქალბატონი. „რკინის ლედი“

ჯეინ ოსტინი

ინგლისელი მწერალი, რომანისტი,
ინგლისური რეალიზმის ფუძემდებელი

საფო

ძველი ბერძნული ლირიკის უპირველესი
პოეტი ქალი

ჟანა დ'არკი

ასწლიანი ომის (1337—1453) დროს 1429—1430 ხელმძღვანელობდა ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას

ოდრი ჰეპბერნი

ოსკარის მფლობელი ბრიტანელი მსახიობი, მოდელი და ჰუმანიტარი

შირინ ებადი

ირანელი იურისტი და ადამიანის უფლებათა დამცველი ნობელის პრემიის ლაურეატი

ბენაზირ ბჰუტო

პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პირველი შიიტი მუსლიმი ქალი პრემიერ-მინისტრი 1988-1990 და 1993-1996 წწ.

მადონა ლუიზა ჩიკონე

გინესის მსოფლიო რეკორდების მიერ აღიარებულია,

როგორც ყველა დროის ყველაზე გაყიდვადი
შემსრულებელი ქალი

ჯოან როულინგი

ინგლისელი მწერალი, ავტორი ჰარი პოტერის თემაზე
შექმნილი წიგნების სერიისა. იგი პირველი ქალია,
რომელმაც წიგნების წერით 1 მილიარდი დოლარის
ოდენობის შემოსავალი მოიპოვა.

მალალა იუსაფზაი

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი და ასევე
მსოფლიოს ბავშვთა პრემიის ლაურეატი, რომელსაც
მედია ნობელის ბავშვთა პრემიას უწოდებს.

ინსტრუმენტები მეორადი მონაცემების ანალიზისათვის

დანართი 10.

მოსწავლეთა გამოკითხვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მონაწილეობა ფასეული იქნება პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე. გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. რა არის ბულინგი? თუ არ შეგიძლია ამ სიტყვის ახსნა, დაწერე რა ასოციაციას იწვევს იგი შენში

---

2. შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები
   ა) სახლში
   ბ) სკოლაში
   გ) ქუჩაში
   დ) ინტერნეტ სივრცეში
   ე) სხვა (სპორტი, წვეულებები...)

3. რას მიიჩნევთ უთანასწორო მოპყრობად გაკვეთილზე?

---

4. რომ აღგერიცხათ გაკვეთილზე მომხდარი უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, რომელი იქნებოდა მეტი წილი?
   ა) მოსწავლეებს შორის უთანასწორო მოპყრობა
   ბ) მოსწავლის უთანასწორო მოპყრობა მასწავლებლის მიმართ
   გ) მასწავლებლის უთანასწორო მოპყრობა მოსწავლის მიმართ

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის

კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე

მაისი, 2019 წ

დანართი 11.

მასწავლებელთა გამოკითხვა

სსიპ ქალაქ ქუთაისის #14 საჯარო სკოლაში ხორციელდება კვლევა თანასწორობის საკითხებზე. თქვენი მონაწილეობა ფასეული იქნება პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე. გთხოვთ, იყოთ გულწრფელი

1. რა არის ბულინგი? თუ არ შეგიძლია ამ სიტყვის ახსნა, დაწერე რა ასოციაციას იწვევს იგი შენში

---

2. შენი აზრით სად ვლინდება ყველაზე ხშირად ბულინგის შემთხვევები
   ა) სახლში
   ბ) სკოლაში
   გ) ქუჩაში
   დ) ინტერნეტ სივრცეში
   ე) სხვა (სპორტი, წვეულებები...)

3. რას მიიჩნევთ უთანასწორო მოპყრობად გაკვეთილზე?

---

4. რომ აღგერიცხათ გაკვეთილზე მომხდარი უთანასწორო მოპყრობის ფაქტები, რომელი იქნებოდა მეტი წილი?
   ა) მოსწავლეებს შორის უთანასწორო მოპყრობა
   ბ) მოსწავლის უთანასწორო მოპყრობა მასწავლებლის მიმართ
   გ) მასწავლებლის უთანასწორო მოპყრობა მოსწავლის მიმართ

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის

კვლევის წარმმართველი: ნონა ჩუბინიძე

მაისი, 2019 წ

დანართი 12.

მშობლების ფოკუს ჯგუფის სავარაუდო კითხვები

1. როგორ ფიქრობთ დაცულია თუ არა თქვენი შვილის უფლებები ჩვენს სკოლაში?
2. სკოლაში განხორციელებული ბოლოდროინდელი აქტივობები რამდენადაა ცნობილი თქვენთვის და რა დამოკიდებულება გაქვთ ამ პროცესების მიმართ?
3. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ კონკრეტული ფაქტი, რაც გაფიქრებინებთ, რომ სკოლამ უნდა გააგრძელოს ამ მხრივ მუშაობა
4. რა ტიპის აქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას თქვენ შვილებთან ერთად?

დანართი 13.

მოსწავლეთა ფოკუს ჯგუფის სავარაუდო კითხვები

1. სკოლაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებიდან ყველაზე მეტად რამ მიიქცია თქვენი ყურადღება
2. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ კონკრეტული ფაქტები, რაც ბოლოდროინდელი აქტიურობის შედეგი გგონიათ?
3. რამდენად ეფექტურია სადამრიგებლო საათის თემები
4. თქვენი აზრით თანასწორობის კუთხით თქვენს კლასში გაუმჯობესდა სიტუაცია ბოლო დროს
5. თქვენი აზრით რა როლი აქვს დამრიგებელს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებაში?

რეფლექსია

2019 წლის 18 ივნისს შედგა სკოლის პედაგოგიური კოლექტივის შეხვედრა, ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კვლევის (თემა: „თანასწორობის საკითხები“) გაზიარების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. კვლევის გაზიარება ჩატარდა სამასწავლებლოში. კვლევის ყველა პუნქტი: მიზანი, მიგნებები, ძირითადი კითხვები, მეთოდები, ინტერვენციები, ინტერვენციების შეფასება დასკვნა და გამოკითხვების შედეგები წარმოდგენილი იყო PowerPoint-ის საპრეზენტაციო ფორმატში. მიმდინარეობისას მსმენელებს საშუალება ჰქონდათ თანვე დაესვათ კითხვები და დაეზუსტებინათ საკითხები. ასევე იქვე მთავაზობდნენ გზებს, თუ რის გაკეთება იქნებოდა უმჯობესი სურათის კიდევ უფრო სრულყოფისათვის. კვლევა საინტერესო გამოდგა, რადგან საკითხი აქტუალურია მთელი სკოლისთვის.

საბოლოოდ, უკუკავშირმა რამდენიმე საინტერესო მიგნება დამანახა. ერთ-ერთი მასწავლებლის აზრით, როდესაც მოსწავლე უთანასწორო მოპყრობის მსხვერპლი ხდება გაკვეთილზე და სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო იგი ვერ ამჟღავნებს თავის ემოციებს, დასვენებაზე, გარეთ, თანატოლთან, ანუ იქ, სადაც შეძლებს, დაიცლება ამ ემოციისაგან. იგივე ხდება სახლიდან „წამოღებული“ ემოციის დროსაც. საინტერესოა ამ ჭრილში მოსწავლეთა ქცევის დანახვა. რამდენიმე მასწავლებელი აღნიშნავს თავად მათი ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილებას ამ წლის განმავლობაში, რადგან, როგორც თავად აღნიშნავენ პერმანენტული აქციები და აქტივობები ბევრ რამეზე აფიქრებდა მათ. უკუკავშირისას გამოითქვა მოსაზრებაც, რომ ძალიან ზედმეტიც არ უნდა მოგვივიდეს, თორემ მერე მოსწავლეები თანასწორობას და თავიანთი უფლებებს ცუდად იგებენ და შედეგად ვიღებთ ახალგაზრდებს, რომლებიც არავითარ წესებს არ ემორჩილებიან. მოსაზრებამ მცირე დისკუსიაც გამოიწვია. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ მოსწავლეები რას როგორ გაიგებენ, დიდადაა დამოკიდებული მიწოდების მეთოდებსა და სტრატეგიებზე. და თუ რაიმეს არასწორად იგებენ ესეც ჩვენი გამოწვევაა და აუცილებლად უნდა გავუმკლავდეთ მას.

კოლეგებთან დისკუსიაც, განსხვავებული აზრების გამოთქმაც იმაზე მეტყველებს, რომ საკითხი ნამდვილად აქტუალურია. კოლეგების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჩემთვის იქნება დამატებითი მოტივაცია, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად გავააქტიუროთ მუშაობა ამ კუთხით.